პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 80 (9548) | შაბათი, 4 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

განუწყვეტლივ ვამაღლოთ მასების შემოქმედებითი აქტივობა — მოწინავე.

საბჭოთა ხალხი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალ შემცირებას უპასუხებს თავდადებული შრომის უდიდესი აღმავლობით (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. ვ. გელაშვილი. — როცა საბჭოთა დაწესებულების პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობს. დ. პაიჭაძე. — უკეთ აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები (მე-2 გვერდი).

პირველი მაისის შესახვედრად (მე-2 გვერდი) — უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე ფასების შემცირების შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მოკლედ ყოველდღიურ ახალ ამბებზე — რესპუბლიკური ქრონიკა (მე-4 გვერდი).

განუწყვეტლივ ვამაღლოთ მასების შემოქმედებითი აქტივობა

მრავალფეროვანი და მჩქეფარე ჩვენი ცხოვრების თვითეული დღე აღსავსეა საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის აქტიური მშენებლების პატრიოტული საქმეებით, შემოქმედებითი ინიციატივით. სახალხო მეურნეობის რომელ დარგსა და რომელ უბანზედაც უნდა მუშაობდეს საბჭოთა ადამიანი, მას თავის მოვალეობად და ღირსებად მიაჩნია საკუთარი შრომითი წვლილი შეიტანოს სოციალისტური წარმოების სრულყოფისა და შემდგომი ზრდის დიად საქმეში.

ახალ, მძლავრ მშობლიურ ტექნიკას კარგად დაუფლებული მუშაკები, რომლებსაც ამოქმედებთ სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები და ხალხის ინტერესები, ეძებენ და პოულობენ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი გაძლიერების უახლეს გზებს, საშუალებებს, აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, წინ სწევენ ტექნიკას.

„...მუშებს შორის გამოჩნდნენ მთელი ჯგუფები ამხანაგებისა, — მიგვითითებდა ი. ბ. სტალინი თავის უკანასკნელ გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, — რომლებმაც არათუ აითვისეს ტექნიკური მინიმუმი, არამედ უფრო შორსაც წავიდნენ, ტექნიკური პერსონალის დონეზე დადგნენ, იწყეს ტექნიკოსებისა და ინჟინრებისათვის შესწორებათა მიცემა, არსებული ნორმების, როგორც დაძველებული ნორმების, დამსხვრევა, ახალი, უფრო თანამედროვე ნორმების შემოღება...“

წარმოების მილიონობით ადამიანია ჩაბმული რაციონალიზატორთა მოძრაობაში, იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში სიახლეთა შეტანისათვის. მასების უდიდეს შემოქმედებითს აქტივობას მოწმობს ის ფაქტი, რომ მხოლოდ შარშან საბჭოთა კავშირის მრეწველობაში და ტრანსპორტზე დაინერგა რვაასი ათასამდე გამოგონება, რაციონალიზატორული წინადადება და ტექნიკური გაუმჯობესება.

განუწყვეტლივ იზრდება წარმოების ნოვატორ მუშათა რიგები ჩვენს რესპუბლიკაშიც — მეტალურგები, ჩარხმშენებლები და მანქანათმშენებლები, მეშახტეები და ტრანსპორტის მუშაკები განუწყვეტლივ ამდიდრებენ ტექნიკას, აუმჯობესებენ წარმოებას, ნერგავენ სოციალისტური შრომის ახალ მეთოდებს.

ფართოდ არის ცნობილი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის წარმატებები. ამ წარმატებათა მოპოვებაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვით ადგილობრივ ნოვატორებს. ისინი ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული ორგანიზაციისა და პროფორგანიზაციის ყურადღებითა და მზრუნველობით არიან გარემოსილნი. მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნის სწორი ორგანიზაციის შედეგად მოპოვებულია სერიოზული მოღწევები.

შარშან ასზე მეტმა ჩარხმშენებელმა შეიტანა 330 წინადადება, რომელთაგან 150-მდე წინადადებას უკვე წარმატებით იყენებენ მუშაობაში. მათი განხორციელებით ქარხანა წლიურად 443 ათასამდე მანეთის ეკონომიას იღებს. ქარხნის რაციონალიზაციისა და გამოგონების ბიუროში დაუყოვნებლივ აფორმებენ წინადადებებს, დროზე ადგენენ ნახაზებს, ცდიან ახალ სამარჯვენასა და იარაღებს, იღებენ ზომებს წარმოებაში მათი სწრაფი დანერგვისათვის. რაციონალიზატორებს აქ ხშირად უწევენ საჭირო დახმარებას და კვალიფიციურ კონსულტაციას, გულისხმიერად ეკიდებიან მათს თვითეულ წინადადებას, ეხმარებიან, რომ დაუყოვნებლივ ხორციელდებოდეს ყოველი მათი სასარგებლო წინადადება.

ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში, როგორც ამას წინათ აღნიშნავდა საოლქო გაზეთი „სტალინელი“, მუშაობის ამ დარგში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი, უყურადღებოდ ეკიდებიან ნოვატორთა ინიციატივას, აჭიანურებენ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას. გასულ წელს შემოსული 240 რაციონალიზატორული წინადადებიდან მიღებულ იქნა 111; აქედან დღემდე განუხორციელებელია 42 წინადადება.

ასეთი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება ახშობს მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, ახლის ძიების ხალისს უკარგავს მუშებს.

ზოგჯერ წარმოების ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ აფასებენ წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი აზრის მნიშვნელობას და საგამომგონებლო საქმეზე ზრუნვას მთლიანად გადააკისრებენ ხოლმე რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროებს, თვითონ კი განზე არიან გამდგარი.

საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მათგან მოითხოვს: „გაძლიერდეს ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან გამოსული გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მასობრივი მოძრაობა წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისა და გაფართოებისათვის, ყოველმხრივი მექანიზაციის, შრომის პირობების გაადვილებისა და შემდგომი გაჯანსაღებისათვის“.

ეს ამოცანა მით უფრო წარმატებით შესრულდება, რაც უფრო ქმედითს ზომებს მიიღებენ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მუშაობის შემდგომი აღმავლობისა და გაფართოებისათვის, აქტიურად დაეხმარებიან რაციონალიზატორ მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს მათს წინადადებათა დანერგვაში, უნარიანად უხელმძღვანელებენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

რაც უფრო მეტი გვეყოლება ტექნიკურად გათვითცნობიერებული, კარგად მომზადებული კადრები, მით უფრო გაიზრდება ნოვატორთა რიგები. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ ტექნიკური სწავლების ყველა ფორმა, გავაუმჯობესოთ მეცადინეობის ხარისხი. მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის, მეცნიერებსა და პრაქტიკოს მუშაკებს შორის კავშირის განმტკიცებით კიდევ უფრო გავაძლიერებთ მასების შემოქმედებითს აქტივობას.

რესპუბლიკის საწარმოებთან არსებობს ტექნიკური კაბინეტები. მათი მუშაობა სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. საჭიროა ამ კაბინეტების მუშაობის გამოცოცხლება, ტექნიკურ საკითხებზე ლექციებისა და მოხსენებების უფრო ხშირად მოწყობა, ნოვატორთა ყურადღების გამახვილება იმ საკვანძო საკითხების გადაწყვეტაზე, რომლებიც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე დაეყენა ახალმა ხუთწლედმა.

წარმოების სრულყოფისათვის ბრძოლა კამპანია როდია. საბჭოთა ადამიანების მუდმივი ზრუნვის საგანია უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა, რაც ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების საფუძველია.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება

„სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მოუწოდებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას გააცნონ ეს დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებს და პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება თვითეული საწარმოს, საამქროს, ბრიგადის მიერ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, თვითეული მუშის მიერ გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის.

პროფკავშირთა ცენტრალურ, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებსა და საბჭოებს წინადადება ეძლევათ პროფკავშირული აქტივისა და ვაჭრობის მუშაკთა ყურადღება მიაქციონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, დაწესებული ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების ზუსტად დაცვას, მშრომელთა მომსახურების კულტურის ამაღლებას.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი რწმენას გამოთქვამს, რომ მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მუშები და მოსამსახურეები და ყველა მშრომელი უპასუხებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აღმავლობით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ახალი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობაში. (საკავში).

საბჭოთა ხალხი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალ შემცირებას უპასუხებს თავდადებული შრომის უდიდესი აღმავლობით

★ ქართველ მეტალურგთა სიტყვა

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის საწარმოებსა და სამშენებლო ობიექტებზე მოეწყო სახელდახელო მიტინგები. ქართველი მეტალურგები, მშენებლები და მემონტაჟეები პატრიოტული სიტყვებით გამოხატავენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო მადლობის გრძნობას სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების ახალი შემცირების გამო და კისრულობენ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს.

მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში შემდგარ მიტინგზე შეკრებილ მეფოლადეებს სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების მორიგი შემცირების მნიშვნელობაზე ესაუბრა საამქროს პარტბიუროს მდივანი შ. ანთელიძე.

— სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირება, — განაცხადა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატმა, წარჩინებულმა მეფოლადემ ი. მეტრეველმა, — მკაფიოდ ადასტურებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის სტალინურ მზრუნველობას. იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში დღითიდღე იზრდება მშრომელთა გაღატაკება და უმუშევრობა, ჩვენს ქვეყანაში ზედიზედ ხორციელდება ღონისძიებანი მუშა-მოსამსახურეებისათვის სანიმუშო მატერიალური პირობების შესაქმნელად. ჩვენი ვალია მთავრობისა და პარტიის მშობლიურ მზრუნველობას მაღალნაყოფიერი შრომით ვუპასუხოთ. ვალდებულებას ვკისრულობ აპრილის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე შევასრულო და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცე 150 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი.

— ჩემი ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვიღებ, — განაცხადა მეფოლადე გ. ბერეკაშვილმა, — ჩქაროსნულ დნობათა რაოდენობის გადიდებით აპრილის საგეგმო დავალება 125 პროცენტით გავანაღდოთ.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს მკაზმავთა ბრიგადირმა შ. ქაჯაიამ, ოსტატებმა მ. გელაშვილმა, ე. ვორონკოვმა და სხვებმა.

მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა მიტინგები მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის, მილნამზადის, მილსაგლინავ საამქროებში და ქალაქის სხვა საწარმოებში.

— პარტიისა და მთავრობის სტალინური მზრუნველობის პასუხად კიდევ უფრო მეტი ქართული წარმოების ფოლადი და ნაგლინი დავუმზადოთ დედა-სამშობლოს, — ასეთი ლოზუნგით შრომობენ ქართველი მეტალურგები.

★ საბჭოთა ქვეყნის სიძლიერის განუხრელი ზრდა

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

საქარხნო კლუბის დარბაზში მოწვეულ სახელდახელო მიტინგზე მოხსენება სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი დაკლების შესახებ გააკეთა ქარხნის დირექტორმა გ. ძიძიგურმა.

მანქანათმშენებლებმა — ზეინკალმა ს. ჭოხონელიძემ, ხარატმა გ. ჩახნაშვილმა, მჭედელმა ი. სპიცინმა, ამწყობმა ზეინკალმა ს. შაბურაშვილმა, მრავალდაზგოსანმა ნოვატორმა ს. აკოფოვმა და სხვებმა პარტიისა და მთავრობის ამ დიდი მზრუნველობის პასუხად იკისრეს გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება საპრეველმაისო სოციალისტური შეჯიბრების განმავლობაში.

— ფასების ეს ახალი შემცირება, — აღნიშნავდნენ მიტინგზე გამოსული სტახანოველები — ი. ხახუტაშვილი, ტ. გერმანოზაშვილი, ვ. ხეჩუაშვილი, ო. პეჩონკინი, კ. ბაკაშვილი და ვ. მოროზოვი, — მოწმობს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების განუხრელ ზრდას, რაც ხალისსა და ენერგიას გვმატებს კიდევ უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის პასუხად

ჩვენს დიად ქვეყანაში განუწყვეტლივ მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის დადგენილება სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ კოლმეურნეთა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, ღრმა კმაყოფილებას იწვევს.

მთავრობისა და პარტიის მზრუნველობის პასუხად ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უფრო თავდადებით მუშაობენ. ჩვენი კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადები უკვე გავიდნენ მინდვრად. ფართო ფრონტით იწყება ლაშქრობა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად. ჩვენი კოლმეურნეობის ხორბლის უხვი მოსავლის ოსტატები იბრძვიან იმისათვის, რომ მთელი ნათესი ფართობის ყოველ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ხორბალი მიიღონ.

კოლმეურნე მევენახეებმა პირობა დადეს თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანონ სულ ცოტა 65 ცენტნერი ყურძენი.

ბრიგადები ამჟამად მუშაობენ შემოდგომის ჯეჯილების გამოკვებაზე. კოლმეურნეები გავიდნენ ვენახებში სამუშაოდ. უკეთ მიდის მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში. ჩვენი კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის ძლიერების საქმეში.

რ. ბერუაშვილი,
სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ერთ სასურსათო მაღაზიაში

— საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვით აღფრთოვანებული მომხმარებლები, — განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში № 7 გასტრონომიული მაღაზიის (რუსთაველის პროსპექტი № 37) დირექტორმა ამხ. შ. ჯანგულაშვილმა, — პირველ აპრილს დილიდანვე დიდი რაოდენობით მოვიდნენ სასურსათო საქონლის შესაძენად ახალი ფასების საფუძველზე. მომხმარებლებს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მაღაზია. ამ დღეს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ძეხვეულზე, შებოლილ ღორის ხორცზე, ერბო-კარაქზე, შაქარზე, საკონდიტრო ნაწარმზე, დაკლულ ფრინველზე. მომხმარებლები დიდი რაოდენობით იძენდნენ აკრეთვე რძეს, კვერცხს, მაკარონს, ვერმიშელს და სხვა პროდუქტებს.

ახალი ფასებით ვაჭრობის პირველ დღეს მომხმარებელთა რიცხვი შეადგენდა 4 ათასამდე კაცს, ოღონ მარტში საშუალოდ დღეში მაღაზიას ჰყავდა დაახლოებით 3.300-მდე მყიდველი. პირველ აპრილს მაღაზიამ ივაჭრა 60.000 მანეთი, წინადღეებში კი ნავაჭრი 45.000 მანეთს არ აღემატებოდა. მარტო ერთ დღეს, პირველ აპრილს მომხმარებლებმა ახალი ფასებით ვაჭრობის საფუძველზე დაახლოებით 9.000 მანეთი მოგება მიიღეს.

პირველ აპრილს მაღაზიამ გაყიდა 400 კილოგრამი ძეხვეული, რომელშიც წინათ მომხმარებლებს უნდა გადაეხადათ დაახლოებით 8.000 მანეთი, ახალი ფასებით კი გადაიხადეს 6.600 მანეთამდე. ფასების დაკლებამდე ცხიმეული ღღეში საშუალოდ იყიდებოდა 200-300 კილოგრამი. ახლა კი იყიდება 500 კილოგრამამდე. ერთნახევარჯერ გაიზარდა მოთხოვნილება შაქარზე, ჩაიზე.

მაღაზია უზრუნველყოფილია საჭირო სასურსათო საქონლის ფართო ასორტიმენტით. მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ დააყენა მათი კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. ამისათვის მიღებულია ყველა საჭირო ღონისძიება: დაწესებულია მტკიცე კონტროლი გამყიდველთა მუშაობაზე, საბჭოთა ვაჭრობის წესების მტკიცედ დაცვაზე.

★ ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის მკაფიო მაგალითი

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). 1 აპრილს, მუშაობის დაწყების წინ სახელდახელოდ შეიკრიბნენ საელმავლო დეპოს ყველა საამქროს მუშები, მემანქანეები და ინჟინერ-ტექნიკოსები. ძალთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფასების ახალი შემცირების შესახებ გააცნო პარტბიუროს მდივანმა გ. ნოზაძემ.

— სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, სათვალავით მეექვსე შემცირება, — თქვა საამქროს ოსტატმა გიორგი გამგონიძემ, — მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის მკაფიო მაგალითია. მაშინ როცა ამერიკელი და ინგლისელი მილიარდერები გამალებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას და ღღითიდღე აძლიერებენ მშრომელთა საარსებო პირობებზე შეტევას, ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ მაღლდება ხალხის კეთილდღეობის დონე.

— ფასების ახალი შემცირება ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ძალასა და ძლიერებას. დაე კიდევ უფრო გაძლიერდეს და აყვავდეს ჩვენი საყვარელი სამშობლო, — განაცხადა ხარატმა ნიკოლოზ გიგუაშვილმა.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მემანქანეებმა ა. ფცქიალაძემ, მ. ტყეშელაშვილმა და გ. ლომსაძემ, ზეინკალმა ი. ნოზაძემ და სხვებმა.

მთავრობისა და პარტიის ამ ახალი, უმნიშვნელოვანესი დადგენილების გაცნობის შემდეგ მძიმე წონის მატარებლები გაატარეს მემანქანეებმა თ. გოსტიევმა და დ. გასიშვილმა, გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 50-60 ტონა ტვირთი.

დიდი ბედნიერებაა ცხოვრობდე საბჭოთა ქვეყანაში

ზესტაფონი. („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა დადგენილებამ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების შესახებ უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ზესტაფონის რაიონის მშრომელთა შორის.

ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ცნობილმა სტახანოველმა ი. აბესაძემ აგიტატორის საუბრის შემდეგ განაცხადა:

— ძნელია სიტყვით გამოვხატო მადლობა საბჭოთა მთავრობისა და ლენინ — სტალინის პარტიისადმი იმ მზრუნველობის გამო, რასაც ისინი იჩენენ მშრომელებისადმი. პირობას ვიძლევი საბჭოთა ადამიანებისათვის მთავრობისა და პარტიის ამ ახალი მზრუნველობის პასუხად ყოველთვიური საწარმოო დავალება 110 პროცენტით შევასრულო და მხოლოდ მაღალხარისხოვანი ლითონი გამოვუშვა.

ფასების შემცირების შესახებ მთავრობის და პარტიის დადგენილების პასუხად სტახანოვურ ვახტზე დადგნენ საღონობი საამქროს მდნობელები ბ. გამგებელი, ვ. გეწაძე, კ. კლიმენკო, ლ. ჭანტურიძე, მარგანეცის საამქროს მდნობელები კ. ცქიტიშვილი, კ. ქურდაძე და სხვები.

დადგენილებას ფასების ახალი შემცირების შესახებ დიდი ინტერესით და აღფრთოვანებით ეცნობიან საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები.

სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახემ დ. ვაჭარაძემ განაცხადა:

— ფასების ახალი შემცირების შესახებ საბჭოთა მთავრობისა და პარტიის დადგენილების პასუხად ვალდებულებას ვკისრულობ ნახევარ ჰექტარ ვენახზე გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად მივიღო სულ მცირე 35 ცენტნერი ყურძენი.

ფასების ახალი შემცირების პასუხად გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სოფელ მეორე სვირის ლენინისა და სტალინის, სოფელ ცხრაწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებმა, არგვეთის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა და სხვებმა.

გაზაფხულის ამ დღეს თბილისში

თბილისის ქუჩებში უჩვეულო გამოცოცხლებაა. მხიარული, სახეგანთელი ადამიანები შედიან და გამოდიან მაღაზიებში, ჯგუფ-ჯგუფად დგანან ვიტრინებთან, სადაც მრავალნაირ ნივთებსა და პროდუქტებს შორის წითლად ელავენ თეთრ ქაღალდზე გამოყვანილი მსხვილი ასოები: „პირველი აპრილიდან სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასები დაკლებულია“.

ადამიანებს უხარიათ არა მარტო ის, რომ დღეს უფრო მეტი პროდუქტებისა და ნივთების შეძენა შეუძლიათ, ვიდრე გუშინ. ჩვენი პარტიისა და მთავრობის ეს ისტორიული გადაწყვეტილება, ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმართული, ხვალისადმი კიდევ უფრო მეტი რწმენითა და იმედით აღავსებს ადამიანთა გულებს.

ხალხით არის სავსე თბილისის უნივერმაღები, გასტრონომიული მაღაზიები, საფუნთუშეები.

ღიმილით ხვდებიან ერთმანეთს ნავაჭრით დატვირთული დიასახლისები, გაცხოველებით საუბრობენ ფასების ახალი შემცირების შესახებ. ჭალარა, ყავისფერალტოიანი ქალი, რომელსაც ერთ ხელში სურსათით გატენილი ჩანთა უჭირავს, ხოლო მეორეში სუნამოს ფლაკონი, მხიარულად ეუბნება მეზობელს.

— წარმოგიდგენია, დღეს ჩვეულებრივი სადილის ფულიდან იმდენი დამრჩა, რომ ამ სუნამოს ყიდვაც შეეძელი. თვის ბოლოს ასე გადარჩენილი თანხით ალბათ მრავალი კარგი რამის ყიდვას მოახერხებს კაცი!

განსაკუთრებით ბევრი ხალხია თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში. აქ გაცხოველებული ვაჭრობაა. ვინ საკოსტიუმე ნაჭერს ან ქუდს ყიდულობს, ვინ ჭურჭელს ან ფეხსაცმელს არჩევს, ვინ უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო მოსულა და პირმეიმარე სხვადასხვა საქონლით დატვირთულ თაროებს ათვალიერებს.

აგერ ყურადღებას სათვალიანი მოხუცი იპყრობს. მას ხელში გაზეთი უჭირავს, სადაც დაბეჭდილია მთავრობისა და პარტიის დადგენილება ფასების შემცირების შესახებ. ის ჩასცქერის გაზეთს. მის გვერდით ჩერდებიან ჭაბუკი და ქალიშვილი, ღიმილით ადევნებენ თვალს და ბოლოს ეკითხებიან:

— რა, ძია, არ უჯერებთ თვალებს?

ახალგაზრდების შეკითხვაში დაუფარავი სიმამაცე, ჩვენი ცხოვრების მთელი სიხალისე და საკუთარი ძალებისადმი მტკიცე რწმენა იგრძნობა, და მოხუციც გულკეთილად უპასუხებს:

— თვალებს როგორ არ ვუჯერებ, შვილებო! ფასების ეს შემცირება ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. რა ძლიერი უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო თუ ყოველ წელს მილიარდობით მანეთი სუფთა მოგებით ასაჩუქრებს ხალხს. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ასე არ ხდება. მე ძველი მუშა ვარ და თვითონ გამომიცდია ეს.

— რა შედარებაა, — ჩაერია საუბარში ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში სათამაშოებით დატვირთული ბავშვი ეჭირა, — მაგალითად, ინგლისში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სასურსათო ბარათები, გარდა ამისა, იქ სულ უფრო და უფრო ემატება საქონელს ფასები. რამდენად უკეთესად ვცხოვრობთ ჩვენ, რა დიდ მზრუნველობას იჩენს ხალხისადმი ჩვენი კომუნისტური პარტია და ჩვენი მთავრობა.

ასეთ სიტყვებს მოისმენდით ყველგან: ქუჩაში, ტრამვაიში, მაღაზიაში, საცხოვრებელ ბინებში. ადამიანებს ახარებთ ის, რომ ცხოვრება კიდევ უფრო უკეთესი ხდება, და ეს სიხარული გაზაფხულივით ყვავილობს მათს გულში.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარტიული ცხოვრება

როცა საბჭოთა დაწესებულებების პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობს

პასუხსაგები ამოცანები დგას საბჭოთა დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ისინი მოწოდებული არიან დაეხმარონ დაწესებულებათა ადმინისტრაციას აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებაში.

სტალინირის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაცნობამ გვიჩვენა, რომ აქ ცალმხრივად გაიგეს საბჭოთა დაწესებულების პარტორგანიზაციის უფლება-მოვალეობა. პარტორგანიზაციამ მისი საქმიანობა ვიწრო ფარგლებში მოაქცია. ორგანიზაციის მდივნად ორი წელია მუშაობს ამხ. ს. ცხოვრებოვა, რომელსაც კარგად არა აქვს წარმოდგენილი საბჭოთა დაწესებულების პარტორგანიზაციის ფუნქციები. ინიციატივაზე და ახლისაკენ სწრაფვაზე რომ არ ვილაპარაკოთ, პარტორგანიზაცია ყურს არ უგდებს იმ კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც დროდადრო პარტიულ კრებაზე გამოითქმის ხოლმე. მაგალითად, გასული წლის ოქტომბერში კომუნისტებმა გააკრიტიკეს პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაცია. მოსალოდნელი იყო, რომ კრებაზე გამოსული კომუნისტების ა. ძაგოევის, ზ. ფარასტაევის, ვ. ზასეევის, ი. გაგიევის შენიშვნები უყურადღებოდ არ დარჩებოდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, პარტორგანიზაცია კრიტიკას არ გამოეხმაურა, ნოემბერსა და დეკემბერში კრებაც კი არ მოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტორგანიზაცია დაწესებულების მუშაკთა შორის სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას არ ეწევა. სტალინირის რაიონის მეშვიდე პარტიულ კონფერენციაზე მკაცრად იყო გაკრიტიკებული რაიონული პროკურატურის მუშაობა. პროკურატურაში მომუშავე კომუნისტები გაერთიანებული არიან რაისაბჭოს აღმასკომის პარტორგანიზაციაში. ეს პირველადს პარტორგანიზაციას ავალებდა კონკრეტული დასკვნები გაეკეთებინა კონფერენციის სამართლიანი კრიტიკიდან. მაგრამ ასე არ მოხდა. გასული წლის სექტემბერში პარტიულ კრებაზე იმსჯელეს სააგიტაციო მუშაობის მოწყობის შესახებ. კრების მიერ მიღებული დადგენილებით პროკურატურის მუშაკებთან სააგიტაციო საუბრების ჩატარება დაევალა კომუნისტ ს. ბერუაშვილს. საქმე დადგენილების მიღებით დამთავრდა, პარტორგანიზაცია არ დაინტერესდა მისი შესრულების შემოწმებით. ახლა კი ამხ. ბერუაშვილი აცხადებს, რომ დღემდე არ იცოდა, თუ აგიტატორად იყო გამოყოფილი.

სააგიტაციო მუშაობა ჩაშლილია აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილების მუშაკთა შორის. განყოფილების გამგე კომუნისტი ა. ძაგოევი, რომელიც აღნიშნული პარტორგანიზაციის წევრად ითვლება, ამისათვის პასუხისმგებლობას არ გრძნობს. მას წვრილმანად მიაჩნია ის ფაქტიც, რომ განყოფილებაში შემოსული განცხადებების და საჩივრების აღრიცხვა მოუწესრიგებელია.

არც რაისაბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილებაშია ამ მხრივ ყველაფერი რიგზე. აქ შემოსულ საჩივრებსა და განცხადებებს აღრიცხავენ, მაგრამ პასუხის გაცემას აჭიანურებენ. მაგალითად, 1952 წლის 18 თებერვალს სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნ. ბერუაშვილმა რაისაბჭოს აღმასკომს მიმართა განცხადებით, რომელშიც მიუთითებდა, რომ მას არასწორად დაერიცხეს შრომადღეები, და ითხოვდა დახმარებას. რაისაბჭოს აღმასკომმა ეს საჩივარი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადასცა სოფლის მეურნეობის განყოფილებას. განვლო ერთ წელზე მეტმა ხანმა და სოფლის მეურნეობის განყოფილებას პასუხი არ გაუცია ამ საჩივარზე. რაისაბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგემ თ. ცოტნიაშვილმა არ იცის, რა ბედი ეწია კოლმეურნის საჩივარს. განყოფილებაში ასევე არ იციან, რა შედეგი მოჰყვა ერთი წლის წინათ რაისაბჭოს აღმასკომში შემოსულ არგვიცელი კოლმეურნის გ. რომელაშვილის საჩივარს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მისი არასწორად დაჯარიმების შესახებ. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი როდია.

პარტიული ორგანიზაცია არ იჩენს ინტერესს იმისადმი, რომ დაწესებულების ყველა მუშაკი მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. დაწესებულების მუშაობისადმი პარტორგანიზაციის მიერ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება მუშაკებში იწვევს პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნებას. ამ მხრივ საგულისხმოა კომუნისტ ი. კეზერაშვილის მაგალითი, რომელიც შეუფერებელი მოქმედებისათვის ზემდგომმა პარტიულმა ორგანომ პარტიის წევრობიდან კანდიდატად გადაიყვანა.

სტალინირის რაიონის სოფლებში დაბალ დონეზე დგას ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობა. მთელი რიგი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები ფორმალურად, ქაღალდზე არსებობენ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე უ. ხანიკაევი ადგენს სამუშაო გეგმებს, რომლებშიც ბევრი კარგი ფიზკულტურული ღონისძიებაა გათვალისწინებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ეს ღონისძიებანი შეუსრულებელი რჩება. უ. ხანიკაევი რაისაბჭოს აღმასკომის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება. პარტორგანიზაცია ვალდებული იყო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რაიონული კომიტეტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ საკითხი დაეყენებინა ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ ეს არ გააკეთა.

პარტორგანიზაციაში მივიწყებულია კონტროლი პარტიულ დავალებათა განაწილებისა და მათი შესრულებისადმი. ს. ცხოვრებოვას იმის აღრიცხვაც კი არ აქვს, თუ ვის რა პარტიული დავალება მიეცა. პარტიული მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნისადმი უყურადღებობამ შექმნა უპასუხისმგებლობის ატმოსფერო. პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილეს, რაისაბჭოს აღმასკომის მდივანს ი. ტეხოვს კედლის გაზეთის რედაქტორობა აქვს დავალებული. გაზეთი სისტემატურად არ გამოდის.

სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი იმაზე მეტყველებენ, რომ პარტიის სტალინირის რაიკომი ზოგ შემთხვევაში სათანადოდ არ აფასებს საბჭოთა დაწესებულებების პარტორგანიზაციების როლს. ამასთან, პარტორგანიზაციის მდივანს ს. ცხოვრებოვას, რომელიც რაისაბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგედ მუშაობს, ხანგრძლივი პერიოდით გზავნიან სოფლებში ისეთი სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ მის სამსახურებრივ მოვალეობასთან. ის ფაქტი, რომ სტალინირის რაიონის სოფლის კოოპერაციამ გასული წლის საქონელბრუნვის გეგმა მხოლოდ 64,45 პროცენტით შეასრულა, ცხადყოფს, რომ ს. ცხოვრებოვას თავის სამუშაო უბანზეც ბევრი ნაკლი აქვს.

პარტიის სტალინირის რაიკომი სისტემატურად უნდა ეხმარებოდეს საბჭოთა დაწესებულების პარტორგანიზაციას, ამაღლებდეს მის ბრძოლისუნარიანობას და იყენებდეს მას საბჭოთა დაწესებულების აწყობილი მუშაობის უზრუნველსაყოფად, მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ვ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მთის რამდენი პატარა მდინარე ჩააყენეს ხალხის სამსახურში ჩვენი რესპუბლიკის ადამიანებმა! მრავალი მათგანის შუქმა გააჩირაღდნა კოლმეურნეთა ოჯახები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — კლუბები, სამკითხველოები.

რამდენიმე ხნის წინათ სოფელ სალხინოში (ქუთაისის ოლქის ვანის „რაიონი) ამუშავდა ახალი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური სულორპესი, რომელიც მომსახურებას გაუწევს 22 კოლმეურნეობას. სურათზე: სულორპესის სამანქანო დარბაზი.

ფოტო პ. ლუფენკოსი.

პირველი მაისის შესახვედრად

ახალციხელმა მეშახტეებმა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს

ახალციხე. (საკ. კორ.). ახალციხე-ქვანახშირის სამმართველომ (უფროსი კ. კუჭუხიძე) 13 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა და 28 მარტისათვის თვიური გეგმის გადამეტებით რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი ამოიღო.

შახტების კოლექტივებმა საგრძნობლად გაუმჯობესეს ქვანახშირის ხარისხი, შეამცირეს ნაცრიანობა და ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, გასწიეს სამაგრი მასალისა და ელექტროენერგიის ეკონომია.

პირველი შახტის (უფროსი გ. როინიშვილი) კოლექტივმა 27 მარტს 130 პროცენტით გაანალდა ქვანახშირის ამოღების კვარტალური დავალება. ამავე რიცხვისათვის მეორე შახტის კოლექტივმა (უფროსი ი. საკანდელიძე) 100 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების სამი თვის გეგმა.

მეშახტეები იბრძვიან იმისათვის, რომ საპირველმაისოდ ახალი საწარმოო მიღწევები მოიპოვონ.

საწარმოო გეგმები — ვადამდე

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო კომბინატის საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს საპირველმაისოდ უზრუნველყონ ოთხი თვის გეგმის წარმატებით განაღდება.

უკვე მოპოვებულია ახალი წარმატება: პირველი კვარტალის გეგმა კომბინატის საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე 10 დღით ადრე 100,1 პროცენტით შეასრულეს. მუშაობის კარგი მაჩვენებლები მოგვცეს ხე-ტყის დამზადების უბნის, ღვინისა და არყის ქარხნის, საოჯახო მოხმარების ნივთებისა და საფეიქრო საწარმოს კოლექტივებმა.

გეგმის შესრულების სხვა მაჩვენებლებთან ერთად საწარმოთა კოლექტივებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

ასობით ჯონა კირი — მშენებლებს

ხაშური. საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სურამის კირის ქარხნის კოლექტივმა 24 მარტისათვის შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა და გეგმის გადამეტებით 400 ტონა მაღალხარისხოვანი კირი გამოუშვა.

სურამელმა მეკირეებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის „განხორციელებისათვის. მარტო იანვარ-თებერვალში მათ გასწიეს 39 ტონა ქვანახშირის ეკონომია და ტონა კირის თვითღირებულება 6 მან. 57 კაპ. შეამცირეს, რითაც ამ ორ თვეში 20.500 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მიიღეს.

სურამელ მეკირეთა ვალდებულებაა პირველი მაისისათვის მშენებლებს 4 თვის გეგმის გადამეტებით მიაწოდონ მრავალი ასი ტონა მაღალხარისხოვანი ჰიდრავლიკური კირი.

წყალსაქაჩი, სადგურები გარეუბნის რაიონში

თბილისის გარეუბნის რაიონში ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია წყალსაქაჩი სადგურების შენდგომი გაფართოება. ამ სადგურების საშუალებით მოირწყვება 6.500 ჰექტარი ფართობი. სოფალნლეღის მეორე ზონის სარწყავი არხი შესაძლებელს გახდის მოირწყას 1.750 ჰექტარი მიწა. ფართო მასშტაბის სამუშაოები განხორციელდება კუმის-თელეთისა და ნორიო-მარტყოფის 4.000-მდე ჰექტარი მიწის მოსარწყავად.

შარშან დიდი სამუშაო შესრულდა სარწყავი მიწების გაფართოებისათვის. დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა დიღმის მესამე ზონის არხი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა 400 ჰექტარი მიწის მორწყვა. სერიოზული მუშაობა ჩატარდა წყნეთის მისადგომების მწვანე სამოსელის ათობით ჰექტარი ნარგავების მორწყვისათვის.

ახალი წყალსაქაჩი სადგურები, რომელთა მშენებლობა რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი დაჯდება, სერიოზული წვლილი იქნება თბილისის გარეუბნის რაიონში მარცვლეული კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

(საქდესი).

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებულება

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გულდასმით შეამოწმა წინასწარი გამოძიების ყველა მასალა და სხვა მონაცემები ექიმთა ჯგუფის საქმეზე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ მავნებლობა, ჯაშუშობა და ტერორისტული მოქმედება საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მოღვაწეების მიმართ.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულნი პროფესორი მ. ს. ვოვსი, პროფესორი ვ. ნ. ვინოგრადოვი, პროფესორი მ. ბ. კოგანი, პროფესორი ბ. ბ. კოგანი, პროფესორი პ. ი. ეგოროვი, პროფესორი ა. ი. ფელდმანი, პროფესორი ი. გ. ეტინგერი, პროფესორი ვ. ხ. ვასილენკო, პროფესორი ა. მ. გრინშტეინი, პროფესორი ვ. ფ. ზელენინი, პროფესორი ბ. ს. პრეობრაჟენსკი, პროფესორი ნ. ა. პოპოვა, პროფესორი ვ. ვ. ზაკუსოვი, პროფესორი ნ. ა. შერეშევსკი, ექიმი გ. ი. მაიოროვი სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროს მიერ დაპატიმრებული იყვნენ უმართებულოდ, რაიმე კანონიერი საფუძვლის უქონლად.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ჩამოთვლილი პირების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ყალბია, ხოლო დოკუმენტალური მონაცემები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ გამოძიების მუშაკები, უსაფუძვლოა. გამოირკვა, რომ დაპატიმრებულთა ჩვენება, რომელიც ვითომდა ადასტურებს მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროს საგამომძიებლო ნაწილის მუშაკებმა მიიღეს გამოძიების ისეთი ხერხების გამოყენების გზით, რომლებიც დაუშვებელია და უსასტიკესად აკრძალულია საბჭოთა კანონებით.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ საქმის შესამოწმებლად სპეციალურად გამოყოფილი საგამომძიებლო კომისიის დასკვნის საფუძველზე დაპატიმრებულნი მ. ს. ვოვსი, ვ. ნ. ვინოგრადოვი, ბ. ბ. კოგანი, პ. ი. ეგოროვი, ა. ი. ფელდმანი, ვ. ხ. ვასილენკო, ა. მ. გრინშტეინი, ვ. ფ. ზელენინი, ბ. ს. პრეობრაჟენსკი, ნ. ა. პოპოვა, ვ. ვ. ზაკუსოვი, ნ. ა. შერეშევსკი, გ. ი. მაიოროვი და ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული სხვა პირები სავსებით რეაბილიტირებული არიან მათთვის წაყენებული მავნებლური, ტერორისტული და ჯაშუშური საქმიანობის ბრალდებებში და, რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პატიმრობისაგან განთავისუფლებული არიან.

გამოძიების არასწორ წარმოებაში დამნაშავე პირები დაპატიმრებული და მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმდეს 1953 წლის 20 იანვრის ბრძანებულება ექიმ ლ. ფ. ტიმაშუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, როგორც არასწორი, ამჟამად გამორკვეულ ნამდვილ გარემოებებთან დაკავშირებით.

მეტალურგთა ქალაქის მწვანე სამკაული

საოცარი სისწრაფით იზრდება ახალგაზრდა მეტალურგიული ქალაქი რუსთავი. წარმტაცია მისი განიერი, მოასფალტებული, ლარივით სწორი ქუჩები, მრავალსართულიანი სახლები, კოტეჯები, ქარხნების უზარმაზარი კორპუსები. ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ რამდენიმე წლის წინათ მხოლოდ უკაცური, გადამწვარი ტრამალი იყო.

რუსთაველები ყურადღებას აქცევენ თავიანთი ქალაქის კეთილმოწყობასა და გამწვანებას. აქ თითქმის ყოველდღე მოდის ვაგონები ვარდ-ყვავილების, დეკორაციული მცენარეების — ჰიმალაის კედრის, ელდარის ფიჭვის, წყავის, ტუიისა და სხვა ნერგებით, რომლებსაც მეტალურგთა ქალაქის გასამწვანებლად გზავნიან სუხუმიდან, ბათუმიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა კუთხეებიდან. აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებიდან.

ქალაქის გამწვანების დარგში დიდი სამუშაოები ხორციელდება განსაკუთრებით. მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური ღონისძიებანი დასახა ამ საკითხზე.

გადაუხვევ თუ არა თბილისი-ჯულფის გზატკეცილიდან რუსთავისაკენ, იწყება საუცხო მოასფალტებული გზა, რომელიც მთელ სიგრძეზე ორივე მხრიდან შემორგულია მარადმწვანე ელდარის ფიჭვით, ჭადრებით. ახლა აქ დამატებით რგავენ ფშატისა და ბროწეულის ხეებს. მალე ეს გზა ულამაზეს ხეივნად გადაიქცევა.

უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ქალაქ რუსთავის ქუჩებში, სკვერებსა და ქარხნის ტერიტორიაზე 250 ათასი ძირი დეკორაციული ხე, ხეხილი და ბუჩქი დაირგო. დარგული მცენარეების 90 პროცენტმა გაიხარა. ქალაქის გამწვანების საქმეში რუსთაველებს დახმარებას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი სატყეო ინსტიტუტის კოლექტივი პროფესორ ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით.

აი ქალაქის სიამაყე — ცენტრალური პროსპექტი. აქ უკვე დარგულია მახარაძის რაიონიდან გამოგზავნილი 80 ძირი, 20-25-წლიანი ჰიმალაის კედარი. პროსპექტის ბულვარზე და მის გაყოლებით დარგულია 500 ძირი მრავალწლიანი ჭადარი, მრავლად არის გაშენებული მარადმწვანე ბუჩქები, ჩვეულებრივი და შტამბიანი კვიდო. პროსპექტის ქარსაფარ ზოლებში სამი კვარტალის გაყოლებით ჭადრაკული წესით სამ მწკრივად მიჰყვება 10-15-წლიანი ელდარის ფიჭვები. პროსპექტს ამშვენებს 22 ჯიშის ვარდის ბუჩქები. ამ გაზაფხულზე რუსთავში 20 ათასზე მეტი ვარდის ბუჩქი დაირგვება.

ქალაქში ყურადღებას იქცევს ქუჩა, რომელიც „დინამოს“ სტადიონს აერთებს ცენტრალურ პროსპექტთან. ამ ქუჩას რუსთავის მშრომელები სამართლიანად ეძახიან „ვარდის ქუჩას“. მისი გაზონები ავსებულია ვარდით, ჭანჭყატთი, კურდღლის ცოცხათი, დამშვენებულია პირამიდული კვიპაროსით, ბზით, კომპაქტური ტუიით, ბროწეულით და სხვ.

კომკავშირის ქუჩას ორივე მხრიდან ორნახევარ კილომეტრზე მიჰყვება გაზონები ტუიისა და კვიდოს მარადმწვანე ბორდიურით. გაზონებში დარგულია მარადმწვანე ფიჭვი, წყავი, კვიდო და სხვ.

დაწყებულია სადგურის ქუჩის კეთილმოწყობა. აქ გაზონებში ირგვება უამრავი ყვავილები და ვარდები, სხვადასხვა ჯიშის წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები.

რუსთავში უდიდესი ყურადღება მიექცევა მშრომელთა კულტურული დასვენების კერების — სკვერებისა და ბაღების გაშენებას. მთავარი პროსპექტის ცენტრში, იქ, სადაც შენდება დიდი ადმინისტრაციული სახლი და მეტალურგთა კულტურის სასახლე, მთავრდება სკვერის გაშენება, რომლის ფართობი 3,5 ჰექტარია. 25-30-წლიანი კედარები, მაგნოლია, ნალჩიკიდან მოტანილი ნაძვები, წითელი ნეკერჩხალი, ხეხილი — კაკალი, ატამი, ბალი, ალუბალი, ბროწეული, ნუში და სხვ. სულ 40 ათასი ხე და ბუჩქი ამ სკვერს დასვენების საუცხოო ადგილად, გადააქცევს.

რუსთავის კეთილმოწყობაში აქტიურად მონაწილეობენ მშრომელები. ისინი მონდომებით მუშაობენ თავიანთი საცხოვრებელი კვარტალების გასამწვანებლად. განსაკუთრებით ბევრს რგავენ ხეხილს. ეზოებში დარგულია 3.000-ზე მეტი ძირი ბალი, ალუბალი, ქლიავი, ნუში, ატამი, კაკალი და სხვ. ამ დღეებში მშრომელები დარგავენ კიდევ 30.000 ძირ დეკორაციულ მცენარესა და ხეხილს. ამასთან დიდ ყურადღებას აქცევენ მცენარეთა გახარებას და დაცვას.

ამჟამად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია რუსთავის ტყეპარკისა, რომელიც 120 ჰექტარზეა გაჭიმული.

რუსთავის მცხოვრებთ განზრახული აქვთ ქალაქის 22 ქუჩის გამწვანება. ორი წლის განმავლობაში აქ სულ ცოტა 200.000 მცენარე უნდა დაირგოს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობას და გამწვანებას. ქარხნის ტერიტორიაზე ქარსაფარ ზოლებში ახლახან რემონტის სახით დაირგო 7.000 ძირი თუთავაშლა, თელა და თუთა. გამწვანებულია ბლუმინგის საამქროს ტერიტორია, სადაც მიმდინარე წელს კიდევ დაერგვება 500-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

ქალაქ რუსთავს აქვს საკუთარი სანერგე, რომელსაც ამჟამად 40 ჰექტარი უკავია, ხოლო წლის ბოლომდე 100 ჰექტარს მიაღწევს. ეს სანერგე მალე გადაიქცევა ქალაქ რუსთავის გამწვანების მთავარ ბაზად, სადაც გამოიყვანენ დეკორაციული ხეებს, ბუჩქებს, ხეხილის უამრავ ნერგს. აქ მიღებულია 14.000 ძირი ჰიმალაის თითომეტრიანი კედარი, 40 ათასი ძირი ბზა, დიდი რაოდენობით წყავი, კვიდო და ფოთოლმცვენი ბუჩქები.

* * *

ქალაქ რუსთავს, რომელიც აღმოცენდა და აყვავდა დიდი ბელადის, საყვარელი სტალინის ინიციატივით, ყოველ ნაბიჯზე აჩნევია მისი მამობრივი მზრუნველი ხელი. მალე მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის გარშემო ამრიალდება ტყეპარკები, ასიათასობით ულამაზესი ხე, ბუჩქი, ვარდყვავილი მოჰფენს სურნელებას ქალაქის ქუჩებს. ქალაქი რუსთავი ზამთარ-ზაფხულ მწვანეში იქნება.

ე. მამალაძე.

პრაქტიკაზე რუსთავიდან ნიკოპოლში

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთავიდან ქალაქ ნიკოპოლის მეტალურგიულ ქარხანაში საწარმოო პრაქტიკაზე მიემგზავრება სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის 70-ზე მეტი ახალგაზრდა მეტალურგი, რომლებმაც უნდა შეისწავლონ „400“ მარკის აგრეგატზე დიდდიამეტრიანი ფოლადის მილების გაგლინვის ტექნოლოგია, დაეუფლონ ოსტატის, მვალცავის და საგლინავი აგრეგატის მემანქანის პროფესიებს.

რუსთავიდან ახალგაზრდები წინათაც იფენენ გაგზავნილი ნიკოპოლის მეტალურგიულ ქარხანაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იქ აღიზარდნენ ჩვენი მოწინავე მვალცავები — ა. გაგნიძე, ბ. ენდიანაშვილი, ოპერატორები — ნ. ბენიძე, მ. კვეზერელი და სხვები, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ ქართული ფოლადიდან მილების დამზადებაზე კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის.

მეენჯი ახალ სეზონში

ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი, რომელიც ქალაქ ცხაკაიას დასავლეთით, მდინარე ციცის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ცნობილია ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. ყოველ სეზონში აქ მოდის ასობით დამშვენებელი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. მენჯი განსაკუთრებით კარგად კურნავს რევმატიზმს და გულის მანკს.

მიმდინარე წლის სეზონი იხსნება 4 აპრილს, ამ თვეში მენჯი მოემსახურება 150 დამსვენებელს, რომლებიც აქ საგზურებით ჩამოვლენ, გარდა ამისა, აბაზანებს ექიმების მეთვალყურეობით მიიღებენ სხვა ავადმყოფებიც.

უკეთ აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ძირეულად გაუმჯობესონ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა, აქტიურად ჩააბან ისინი პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე მოაწყონ საქმე, რომ კანდიდატებმა მაქსიმალურად გამოიყენონ საკანდიდატო სტაჟი პარტიის წევრად შესვლისათვის მოსამზადებლად.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. საქალაქო კომიტეტის ბიურო ხშირად განიხილავს კანდიდატებთან მუშაობის აქტუალურ საკითხებს, აწყობს მათთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ საუბრებს პარტიის წევრისა და კანდიდატის უფლება-მოვალეობათა შესახებ, აცნობს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში უკანასკნელ თვეებში პარტიის წევრებად მიღებულია ბევრი კანდიდატი, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება ლენინ — სტალინის პარტიისადმი. მათ შორის არიან სახელოვანი მენავთობეები — ოპერატორი გ. ჯიქიძე, ქიმიკოსი ქ. ცინცაძე, აირშემდუღებელი ს. შკუროვსკი, ცნობილი ხარატი მ. ნოვოჟენინი, ინჟინერი ი. დოლიძე, მანქანათმშენებელი ქარხნის ოსტატი ბ. ლომთაძე, რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი სტალინური სტიპენდიატი ტ. ღლონტი და სხვ.

სერიოზულად მუშაობს პარტიის წევრობის კანდიდატებთან ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. ტაბაღუა). პარტბიურო ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ კანდიდატები ჩაებას აქტიურ პარტიულ მუშაობაში, ზრუნავს მათი პოლიტიკური განათლების ამაღლებისათვის. ბევრი მათგანი აქტიურად მონაწილეობს ქარხნის ცხოვრებაში. პარტიის წევრობის კანდიდატი 1952 წლიდან, ქარხნის მთავარი ტექნოლოგი კლარა ჭავჭანიძე კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. ორ წელზე მეტია, რაც იგი უნარიანად ხელმძღვანელობს პოლიტსკოლას. პარტიის წევრობის კანდიდატი 1952 წლიდან, სტახანოველი ამწყობი ზეინკალი გ. პეტრენკო დღეში 2,5-3 ნორმას ასრულებს, იგი გულმოდგინედ მეცადინეობს პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში.

მაგრამ ქალაქის მთელი რიგი პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან, არ ზრუნავენ მათი თეორიული და პრაქტიკული გამოწრთობისათვის.

სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, მართალია, უკანასკნელ ხანებში ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს პარტიის წევრობის კანდიდატების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მაგრამ ამ საქმეში მას ნაკლოვანებანიც აქვს. პარტიის წევრობის ზოგიერთი კანდიდატი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საწესდებო მოთხოვნის შესრულებას, არ ზრუნავს თავისი თეორიული შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის, რასაც პარტბიურომ დროზე არ მიაქცია ყურადღება. ზოგიერთმა მათგანმა ჩაიდინა კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი და პარტიული ორგანიზაცია იძულებული გახდა პარტიიდან გაერიცხა ისინი. ასე მოუვიდა, მაგალითად, ელექტრომონტიორ ბ. ოსკინს. გაირიცხა აგრეთვე პარტიის წევრობის კანდიდატი 1944 წლიდან ვ. ანდრიაძე, რომელსაც არაერთხელ დაედო პარტიული სასჯელი სახელმწიფო ქონების დაცვისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის.

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტორგანიზაციაში 1951 წლიდან კანდიდატად ირიცხება ქ. შავლაყაძე. ამ ხნის განმავლობაში იგი თითქმის არც ერთ კრებას არ დასწრებია, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატი 1946 წლიდან გ. სურგულაძე გასული წლის ნოემბრიდან დღემდე მხოლოდ ერთ კრებას დაესწრო. უნდა აღინიშნოს, რომ გ. სურგულაძე ცუდად მუშაობს საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ზერელედ ეკიდება პარტიაში მიღების საქმეს, წინასწარ არ სწავლობს მისაღებთა პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს და მიღების დროს არღვევს ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს. მეთორმეტე სახანძრო რაზმის პარტორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო წინათ პარტიიდან გარიცხული მ. კვაჭაძე, რომელიც, როგორც გამოირკვა, დიდი ხნის განმავლობაში არ ეწეოდა სასარგებლო საქმიანობას. დღემდე არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციები და თვით პარტიის საქალაქო კომიტეტი არღვევენ პარტიაში მისაღებთა განცხადებების განხილვის დაწესებულ ვადებს.

პარტიის ბათუმის საქალაქო ორგანიზაცია მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას.

დ. პაიჭაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მშრომელები სწავლობენ ი. ბ. სტალინის ნაშრომს

გურჯაანის რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესახებ მიმდინარე წელს 30-ზე მეტი ლექცია მოეწყო.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის ლექტორმა ამხ. ს. ინწკირველმა რაიონის პარტიული აქტივიათვის წაიკითხა ლექციები თემებზე: „ი. ბ. სტალინი სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის შესახებ სოციალიზმის დროს“ და „ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლა და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გაღრმავება“. მუკუზნის საბჭოთა მეურნეობასა და გურჯაანის ღვინის ქარხანაში ამხ. ინწკირველმა წაიკითხა ლექციები თემაზე: სტალინის სსრ კავშირში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის ლექტორმა ს. თუნიაშვილმა ლექციები თემაზე „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარ

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე ფასების შემცირების შესახებ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 2 აპრილი. (საკდესი). ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა დღეს სრული ტექსტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. ეს დადგენილება არაერთხელ გადასცეს ცენტრალურმა, აგრეთვე პეკინის და პროვინციების რადიოსადგურებმა.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 2 აპრილი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის პრესა დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა კავშირში სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების ახალ შემცირებას.

გაზეთი „ობრანა ლიდუ" ათავსებს სსრ კავშირში ფასების შემცირებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიას. ამ მოვლენას მოწინავე სტატიებს უძღვნიან აგრეთვე გაზეთები „რუდე პრავო" და „ლიდოვა დემოკრაციე".

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ფასების ახალი, მეექვსე შემცირება საბჭოთა კავშირში, წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „რუდე პრავო", დამადასტურებელია სოციალისტური წყობილების უპირატესობისა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

კაცობრიობის ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი სახელმწიფო, ნათქვამია სტატიაში, რომელსაც ასე ეზრუნოს მუშათა კლასის მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებისათვის!

საბჭოთა ხალხმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ, რაც უფრო მეტად იზრდება მისი წარმოება, რაც უფრო კლებულობს საწარმოო ხარჯები და დიდდება შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტია მისი შესაძლებლობანი ფასების შემცირებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოში მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ ლენინ — სტალინის ძლევამოსილი დროშის, ამხანაგ გოტვალდის ანდერძის შესრულებით, მომავალშიც საბჭოთა კავშირთან ერთად გავწიოთ წინ მშრომელთა სულ უფრო ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

პოლონეთი

ვარშავა, 2 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალ შემცირებას.

გაზეთი „ნეასავა" და „სპბად იფიუშაგი" ამ საკითხს მოწინავე სტატიებს უძღვნიან.

გაზეთი „ნეასავა" მოწინავე სტატიაში წერს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მნიშვნელობა შორს სცილდება საბჭოთა კავშირის ფარგლებს.

ფასების ეს შემცირება მშვიდობისადმი საბჭოთა ხალხის მტკიცე მისწრაფების ახალი გამოხატულებაა.

გაზეთი „სპბად იფიუშაგი", იუწყება რა საბჭოთა კავშირში ფასების შემცირებას, ხაზგასმით აღნიშავავს, რომ ასეთი ღონისძიებანი შეუძლია მიიღოს მხოლოდ იმ სოციალისტურ ქვეყნებმა, რომელიც ყველაფერში ადამიანს ემსახურება, რომელშიც ყველაფერი კეთდება ადამიანის კეთილდღეობისათვის.

„ყველაზე უბრალო ადამიანი, წერს გაზეთი „სპბად ხეი", მიხვდება, რომ ქვეყანა, რომელიც ასეთ კოლოსალურ ღონისძიებებს ახორციელებს თავისი ხალხის კეთილდღეობისა გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის ქვეყანაა. საბჭოთა ხალხი რაბმულია მშვიდობიანი, შემოქმედებითს შრომაში, აშენებს კომუნიზმს, განაგრძობს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, იცავს მშვიდობას. ფაქტები იმას მეტყველებენ, რომ საბჭოთა კავშირის ინტერესები განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან. საბჭოთა კავშირი და მშვიდობა ერთი და იგივეა.

რუმინეთი

ბუქარესტი, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, დღევანდელი გაზეთები წერენ, თუ რა სიხარულით შეხვდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები ფასების ახალ შემცირებას სსრ კავშირში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ საუცხოოდ ადასტურებს დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. ფასების შემცირება, რაც სსრ კავშირში განხორციელდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ უდიდეს წარმატებათა მეოხებით, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დამყარებისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლის მეოხებით, საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის მეოხებით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები, წერს გაზეთი „სკინტეია", მიდის წინ საბჭოთა კავშირის გამოცდილებით განათებული გზით, წმრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერების უზრუნველყოფის გზით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები, წერს გაზეთი „რომინია ლიბერა", ისევე როგორც სოციალიზმის მშენებელი სხვა ქვეყნების მშრომელები, სიხარულით, როგორც საკუთარ გამარჯვებას, ხედავენ ცნობას საბჭოთა ადამიანების ბრწყინვალე წარმატებათა შესახებ.

ალბანეთი

ტირანა, 1 აპრილი. (საკდესი). დღეს ტირანის რადიომ გადასცა ცნობა საბჭოთა კავშირში სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. საბჭოთა კავშირში საცალო ფასების ეს ახალი შემცირება, ნათქვამია ტირანის რადიოს კომენტარებში, ერთხელ კიდევ მოწმობს სოციალისტური ეკონომიკის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე. ფასების ეს ახალი შემცირება მკაფიოდ მოწმობს სამშვიდობო სტალინურ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. მსოფლიოს ხალხები, მათ შორის ალბანელი ხალხიც, სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა ხალხის ამ უდიდეს მიღწევას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 2 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი, სათვალავით მეექვსე, შემცირების შესახებ ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობაში.

ბერლინის დემოკრატიული პრესა ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფასების შემცირება კვლავ ადასტურებს საბჭოთა მთავრობის მუდმივ ზრუნვას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" სტატიაში სათაურით „რატომ შეუძლია საბჭოთა კავშირს შეამციროს ფასები" წერს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან, თვითონ ქმნიან საქონლის განუწყვეტელი გაიაფების წანამძღვრებს წარმოების რაციონალიზაციის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, უსასტიკესი მომჭირნეობის გზით, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

ფასების ახლანდელი, 1947 წლიდან მეექვსე შემცირება, ხაზგასმით აღნიშავს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი", კვლავ ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, აგრეთვე ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ მშვიდობის საქმეს ემსახურება.

შემდეგ, მოგვაგონებს რა იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში, და კერძოდ დასავლეთ გერმანიაში, მშრომელთა ცხოვრების დონე ფასების ზრდისა და ხელფასის შემცირების შედეგად მუდამ ეცემა, გაზეთი დასასრულ წერს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც სოციალიზმის საფუძვლებს აშენებენ, უკვე გააკეთეს თავიანთი არჩევანი: ისინი დაადგნენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ ნაჩვენებ აღმავლობის გზას.

საბჭოთა კავშირში ფასების ახალი ფართო შემცირება, წერს „ნოიე �იტი", დამაჯერებელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის შინაგანი ძლიერებისა, რომელიც განუხრელად განაგრძობს მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრების დონის ამაღლების პოლიტიკას, მაშინ როცა კაპიტალისტური სამყარო საომარ მზადებას ეწევა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 1 აპრილი. (საკდესი). მონღოლი ხალხი დიდი ინტერესით და სიხარულით შეხვდა ცნობას საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას აქვეყნებენ მონღოლეთის დედაქალაქის გაზეთები და გადასცემს ულან-ბატორის რადიო. გაზეთები სსრ კავშირში ფასების შემცირებას უძღვნიან მოწინავე სტატიებს. ბეჭდავენ არტიკლებს, მუშებისა და ინტელიგენციის გამოხმაურებას.

გაზეთი „უნენი" მოწინავეში წერს:

ფასების ახალი შემცირება მოწმობს საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის განუხრელ ზრდას, დიდი საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის სულ უფრო მზარდ მატერიალურ კეთილდღეობას. იგი მოწმობს დიდ წარმატებებს, რასაც საბჭოთა სახელმწიფომ მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში, შრომის ნაყოფიერების ახალ, კიდევ უფრო მეტ გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. საბჭოთა კავშირში მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ეს შემცირება მთელი მსოფლიოს ხალხების წინაშე ცხადყოფს მშრომელთა ინტერესებისა და სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების ერთიანობას.

ინგლისი

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" პირველ გვერდზე აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის რალფ პარკერის დაწვრილებითს ცნობას საბჭოთა კავშირში საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. აღნიშნავს რა ფასების ხუთ წინანდელ შემცირებას, პარკერი დამაჯერებელი მაგალითებით ცხადყოფს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუხრელ გაუმჯობესებას.

გაზეთები „ტაიმსი", „ნიუს ქრონიკლი", „დეილი ტელეგრამ ენდ მორნინგ პოსტი", „დეილი პერალდი", „მანჩესტერ გარდიანი" და „უესტერნ მეილ ენდ სუტ უელს ნიუსი" აქვეყნებენ მხოლოდ მოკლე ცნობებს ფასების შემცირების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" პირველ გვერდზე ათავსებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის სოლსბერის ცნობას სსრ კავშირში სამომამარტლო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ. სტატიაში აღნიშნულია, რომ „ეს არის საცალო ფასების მეექვსე საერთო შემცირება, რასაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს ფასების ომისშემდგომი საერთო სტაბილიზაციისა და 1947 წლის ფულის რეფორმის შემდეგ".

საფრანგეთი

პარიზი, 2 აპრილი. (საკდესი). პარიზის გაზეთები იუწყებიან სსრ კავშირში ფასების შემცირებას. გაზეთმა „ლუმანიტემ" მოათავსა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის დაწვრილებითი ცნობა, რომელშიც მოყვანილია ძირითადი მონაცემები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა ფასების ახალი შემცირების შესახებ.

„ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატიური შემცირება როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საშუალება, — წერს „ლუმანიტე", — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და სხვა მარშალიზებულ ქვეყნებში ფასების განუწყვეტელი ზრდის დროს, რაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის მზადების პოლიტიკის შედეგია, სსრ კავშირში ფასების ახალ შემცირებას საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება.

ფაქტების შედარება, ორივე პოლიტიკის შედარება ყოველ პატიოსან ადამიანს საშუალებას აძლევს აღნიშნოს სოციალისტური წყობილების უპირატესობა კაპიტალისტურის წინაშე, სამშვიდობო პოლიტიკის, ეკონომიკისა და კეთილდღეობის სწრაფი ზრდის უპირატესობა".

იუწყებიან რა სსრ კავშირში ფასების დაკლებას, ბურჟუაზიული გაზეთები წერენ საბჭოთა კავშირში სასურსათო და სამრეწველო საქონლის ღირებულების მნიშვნელოვან შემცირებაზე.

იტალია

რომი, 1 აპრილი. (საკდესი). ყველა დემოკრატიულმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა კავშირში ფასების შემცირების შესახებ.

გაზეთი „უნიტა" აღნიშნავს, რომ ეს არის ომის დამთავრების მომენტიდან ყველა პროდუქტის ფასების სათვალავით მეექვსე შემცირება და რომ იგი მნიშვნელოვნად ამაღლებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების ისედაც მაღალ დონეს.

გაზეთები „ავანტი" და „პაეზი" აგრეთვე აღნიშავენ, რომ ნაშინ როცა სოციალიზმის ქვეყანაში კვების პროდუქტებისა და სხვა საქონლის ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა 1947 წლიდან, იტალიაში ფასები განუწყვეტლივ იზრდება.

სახალხო დემოკრატიული საქართველო

ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" შესწავლა გულგარეთში

სოფია, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყებს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული კაბინეტი დიდ დახმარებას უწევს მშრომელებს, რომლებიც სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". პარტკაბინეტთან მუშაობს 7 სემინარი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისტებისათვის. ამხანაგ სტალინის გენიალური შრომის შესასწავლად 89 სემინარი შეიქმნა რაიონულ პარტკაბინეტებთან. ამ სემინარების მეცადინეობაზე ლექციებს კითხულობენ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრები და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები.

სოფიის პარტკაბინეტი იწყებს ბროშურების გამოცემას, რომლებშიც მოთავსებული იქნება სტატიები, მეთოდური მითითებანი, პასუხი იმ მშრომელთა შეკითხვებზე, რომლებიც სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", ი. ბ. სტალინის სიტყვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალებს.

პოლონეთის საწარმოთა კოლეძტივების შრომითი წარმატებანი

ვარშავა, 2 აპრილი. (საკდესი). სახალხო პოლონეთის მრეწველობის წამყვანმა დარგებმა ვადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა.

მაგალითად, შახტმა „სილეზიამ" ჯერ კიდევ 30 მარტს თვიური გეგმა შეასრულა 116,2 პროცენტით. მარტის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა პოლონეთის ბერმა სხვა შახტმაც, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის რუდის, რიბნიკისა და ავაოჟნიც-მიკოლოვკის გაერთიანებებმა.

კვარტალური გეგმა ვადამდე შეასრულეს პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებმა და ბამბეულის ფაბრიკებმა.

სოფიქრო მრეწველობაში საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში წამყვანი ადგილები დაიკავეს ი. ბ. სტალინის სახელობისა და ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სართავ-საქსოვმა ფაბრიკებმა.

პოლონეთის რკინიგზებმა ვადამდე შეასრულეს ტვირთზიდვის კვარტალური გეგმა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მათ გადაზიდეს 11,3 პროცენტით მეტი ტვირთი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში.

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკდესი). უნგრეთი მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ეგებებიან საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების დღეს, რომელიც აღინიშნება 4 აპრილს. უნგრეთის მრეწველობაში და მინდვრებზე გაჩაღდა შეჯიბრება ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. ყველგან ეწყობა „განთავისუფლების კვირეული" — მუშები და მშრომელი გლეხები შრომითს სტახანოვურ ვახტზე დგებიან. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს კვარტალური საწარმოო გეგმები. კვარტალური გეგმის ვადამდე შემსრულებელთა შორის ბევრი შახტია.

სახალხო ბიბლიოთეკები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 2 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩეხოსლოვაკიაში 14 ათასზე მეტი სახალხო ბიბლიოთეკაა, ესე იგი, თითქმის თვითეულ სოფელში შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი.

ბიბლიოთეკებთან მოწყობილია სამკითხველოები, შექმნილია მკითხველთა წრეები, რომლებიც მართავენ დისკუსიებს უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარმოებებზე.

რაიონებისა და ოლქების ბიბლიოთეკებში შექმნილია მოზრდილთა და ახალგაზრდობის გაყოფილება მეცნიერული და სპეციალური ლიტერატურის განყოფილებანი, ბიბლიოთეკები რეგულარულად აწყობენ მკითხველთა კონფერენციებს, ლექციებს, გამოფენებს საოლქო ბიბლიოთეკები ოლქის სხვადასხვა რაიონში გზავნიან მოძრავ ბიბლიოთეკებს.

სახალხო ბიბლიოთეკების განვითარება ჩეხოსლოვაკიაში მოწმობს ჩეხოსლოვაკიის ხალხის კულტურული დონის ზრდას.

კოოპერაციული ვაჭრობის განვითარება ალბანეთში

ტირანა, (საკდესი). კოოპერაციული ვაჭრობა ალბანეთში სულ უფრო და უფრო ვითარდება. სამომხმარებლო კოოპერატივები და დამამზადებელ-გამსაღებელი კოოპერატივები აერთიანებენ ათასობით წევრს — ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთ. მაგალითად, მარტო დამამზადებელ-გამსაღებელი კოოპერაცია აერთიანებს სოფლის მოსახლეობის 70 პროცენტს. მთელ ალბანეთში ახლა 900-ზე მეტი კოოპერაციული მაღაზიაა და მათი რიცხვი ყოველწლიურად განუწყვეტლივ მატულობს.

სახალხო-დემოკრატიულ ალბანეთში კოოპერაციული ვაჭრობა ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განმტკიცების საქმეში გადაიქცა მნიშვნელოვან ბაზად და სპეკულაციასთან ბრძოლის საშუალებად. წლითიწლობით იზრდება კოოპერაციული მაღაზიების ავტორიტეტი, შარშან მათი ბრუნვა 1951 წელთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა. გლეხებმა შარშან იყიდეს 24 პროცენტით მეტი სამრეწველო საქონელი, ვიდრე 1951 წელს. ამავე პერიოდში გლეხებმა ქალაქის მოსახლეობას მიაწოდეს ერთახევარჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ალბანეთის სამომხმარებლო და დამამზადებელ-გამსაღებელ კოოპერაციას აქვს ხილისა და ბოსტნეულის დასაკონსერვებელი, ზურაბის, მარმელადისა და კვების სხვა პროდუქტების საწარმოო პატარა ფაბრიკები და სახელოსნოები.

გენერალ კლარკის წერილი კიმ ირ სენისა და პინ დე-ხუეისადმი

ლონდონი, 31 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან გადმოგვცემს გენერალ მარკ კლარკის იმ წერილის ტექსტს, რომელიც მან გაუგზავნა კორეის სახალხო არმიის სარდალს მარშალ კიმ ირ სენს და კორეაში მყოფ ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალს გენერალ პინ დე-ხუეის.

„ამით ცმაყოფილებით ვადასტურებ, რომ მივიღე თქვენი 1953 წლის 28 მარტის წერილი პასუხად ჩემი 1953 წლის 22 თებერვლის წერილისა და ვფიქრობ, რომ თქვენ სავსებით მზად ხართ ჩვენი წინადადების შესაბამისად დაუყოვნებლივ დაიწყოთ საომარი მოქმედების პერიოდში ყველა მძიმე ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვის რეპატრიაცია.

ამატომ ჩემი წინადადებაა მოწვეულ იქნას პანმუნჯონში მეკავშირეთა ჯგუფის თათბირი თვითეული მხარის გენერლის ან ადმირალის მეთაურობით, როგორც კი თქვენთვის ეს მოსახერხებელი იქნება, რათა შემუშავებულ იქნას დაწვრილებითი ღონისძიებანი, რაც საჭიროა ამ სამხედრო ტყვეთა გაცვლისათვის.

მე ვიზიარებ თქვენ მიერ გამოთქმულ იმედს, რომ საომარი მოქმედების პერიოდში ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლის დამთავრება უფრო შესაძლებელს გახდის სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის დაუბრკოლებელ მოწესრიგებას.

ამიტომ მე მზად ვარ ჩემს მეკავშირეთა ჯგუფს მივცე მითითება, როგორც მეორე რიგის ამოცანა, შეხვდეს თქვენს მეკავშირეთა ჯგუფს, რათა შეთანხმდნენ ჩვენი სათანადო დელეგაციების მიერ დაზავების შესახებ მოლაპარაკების განახლებაზე.

ვეყრდნობით რა ამ საკითხზე თქვენი წინადადების შინაარსს, ჩვენ დავასკვნით, რომ თქვენ მზად ხართ მიიღოთ გაერთიანებული ერების სარდლობის წინადადებანი ანდა შემოიტანთ რიმმე ტოლფასოვან კონსტრუქციულ წინადადებას თქვენი მხრივ, რაც დელეგაციების თათბირის განახლების ნამდვილ საფუძველი გახდება.

გთხოვთ მაცნობოთ რაც შეიძლება მალე თქვენი გადაწყვეტილება ჩემს წინადადებაზე ორივე მხარის მეკავშირეთა ჯგუფების შეხვედრის დროის შესახებ, რათა შემუშავებულ იქნას ყველა მძიმე ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვის რეპატრიაციის ღონისძიებანი".

ხელს აწერს: მარკ კლარკი, ამერიკის არმიის გენერალი, გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

კიმ ირ სენისა და პინ დე-ხუეის პასუხი კლარკისადმი

პეკინი, 2 აპრილი. (საკდესი) სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფუხენიანიდან იუწყება:

1 აპრილს კორეის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდალმა მარშალმა კიმ ირ სენმა და კორეაში მყოფ ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალმა გენერალმა პინ დე-ხუეიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდალს გენერალ კლარკს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნეს:

„მივიღეთ თქვენი 1953 წლის 31 მარტის წერილი.

ჩვენ ვეთანხმებით თქვენს წერილში წამოყენებულ წინადადებას და ამით გაცნობებთ, რომ ჩვენი მხარის მეკავშირეთა ჯგუფი მზად იქნება თქვენი მხარის მეკავშირეთა ჯგუფთან სათათბიროდ პანმუნჯონში 1953 წლის 6 აპრილს, რათა წინასწარ განიხილონ დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო ტყვეების ორივე მხარის მიერ გაცვლის საკითხი, აგრეთვე განიხილონ და გადაწყვიტონ დაზავების შესახებ მოლაპარაკების განახლების თარიღის საკითხი.

ამ წერილს თან ერთვის თითო პირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებებისა სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხზე წინადადების შესახებ.

კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდალი
მარშალი კიმ ირ სენი,

ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალი
გენერალი პინ დე-ხუეი.

1953 წ. 1 აპრილი".

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილ დღეს სახალხო არმიის შეიარაღებანი და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე ეწეოდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი თვითმფრინავი.

ფასების ზრდა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 2 აპრილი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა დღეს აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც ახასიათებენ კვების დიდმნიშვნელოვანი პროდუქტების ფასების ზრდას მთელ დასავლეთ გერმანიაში. 1950 წლიდან 1952 წლამდე დასავლეთ გერმანიაში ფასები გაიზარდა: ხორცისა — 33 პროცენტით, კარტოფილისა — 53 პროცენტით, ფქვილისა — 43 პროცენტით, პურისა — 29 პროცენტით.

ი. ბ. სტალინის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" შესწავლა ბულგარეთში

სოფია, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყებს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული კაბინეტი დიდ დახმარებას უწევს მშრომელებს, რომლებიც სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". პარტკაბინეტთან მუშაობს 7 სემინარი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისტებისათვის. ამხანაგ სტალინის გენიალური შრომის შესასწავლად 89 სემინარი შეიქმნა რაიონულ პარტკაბინეტებთან. ამ სემინარების მეცადინეობაზე ლექციებს კითხულობენ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრები და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები.

სოფიის პარტკაბინეტი იწყებს ბროშურების გამოცემას, რომლებშიც მოთავსებული იქნება სტატიები, მეთოდური მითითებანი, პასუხი იმ მშრომელთა შეკითხვებზე, რომლებიც სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", ი. ბ. სტალინის სიტყვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალებს.

პოლონეთის საწარმოთა კოლეძტივების შრომითი წარმატებანი

ვარშავა, 2 აპრილი. (საკდესი). სახალხო პოლონეთის მრეწველობის წამყვანმა დარგებმა ვადამდე შეასრულეს პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა.

მაგალითად, შახტმა „სილეზიამ" ჯერ კიდევ 30 მარტს თვიური გეგმა შეასრულა 116,2 პროცენტით. მარტის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა პოლონეთის ბერმა სხვა შახტმაც, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის რუდის, რიბნიკისა და ავაოჟნიც-მიკოლოვკის გაერთიანებებმა.

კვარტალური გეგმა ვადამდე შეასრულეს პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებმა და ბამბეულის ფაბრიკებმა.

სოფიქრო მრეწველობაში საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში წამყვანი ადგილები დაიკავეს ი. ბ. სტალინის სახელობისა და ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სართავ-საქსოვმა ფაბრიკებმა.

პოლონეთის რკინიგზებმა ვადამდე შეასრულეს ტვირთზიდვის კვარტალური გეგმა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მათ გადაზიდეს 11,3 პროცენტით მეტი ტვირთი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში.

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საკდესი). უნგრეთი მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ეგებებიან საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების დღეს, რომელიც აღინიშნება 4 აპრილს. უნგრეთის მრეწველობაში და მინდვრებზე გაჩაღდა შეჯიბრება ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. ყველგან ეწყობა „განთავისუფლების კვირეული" — მუშები და მშრომელი გლეხები შრომითს სტახანოვურ ვახტზე დგებიან. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს კვარტალური საწარმოო გეგმები. კვარტალური გეგმის ვადამდე შემსრულებელთა შორის ბევრი შახტია.

სახალხო ბიბლიოთეკები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 2 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩეხოსლოვაკიაში 14 ათასზე მეტი სახალხო ბიბლიოთეკაა, ესე იგი, თითქმის თვითეულ სოფელში შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი.

ბიბლიოთეკებთან მოწყობილია სამკითხველოები, შექმნილია მკითხველთა წრეები, რომლებიც მართავენ დისკუსიებს უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარმოებებზე.

რაიონებისა და ოლქების ბიბლიოთეკებში შექმნილია მოზრდილთა და ახალგაზრდობის გაყოფილება მეცნიერული და სპეციალური ლიტერატურის განყოფილებანი, ბიბლიოთეკები რეგულარულად აწყობენ მკითხველთა კონფერენციებს, ლექციებს, გამოფენებს საოლქო ბიბლიოთეკები ოლქის სხვადასხვა რაიონში გზავნიან მოძრავ ბიბლიოთეკებს.

სახალხო ბიბლიოთეკების განვითარება ჩეხოსლოვაკიაში მოწმობს ჩეხოსლოვაკიის ხალხის კულტურული დონის ზრდას.

ბულგარეთი

###

ავსტრიის ახალი მთავრობა

ვენა, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც ავსტრიის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო იუწყება, ავსტრიის პრეზიდენტმა კერნერმა დანიშნა ავსტრიის მთავრობა.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკება ავსტრიის ახალი მთავრობის შექმნის შესახებ ექვს კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა. პრეზიდენტმა კერნერმა ახალი კაბინეტის შედგენა ჯერ მიანდო მთავრობის ყოფილ მეთაურს ფიგლს. ამ უკანასკნელმა ერთი თვის განმავლობაში ვერ შეძლო შეთანხმებოდა დიდი პარტიების ლიდერებს და უარი თქვა დაკისრებულ მისიაზე. მაშინ მთავრობის შედგენა დაეკალა „ავსტრიის სახალხო პარტიის" თავმჯდომარეს იულიუს რააბს.

რააბმა მოითხოვა, რომ მთავრობაში, ავსტრიის სახალხო პარტიისა და ავსტრიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლების გარდა, შეეყვანათ ნეოფაშისტური „დამოუკიდებელთა საარჩევნო პარტიის" წარმომადგენლები. ამან ავსტრიის მოსახლეობის ფართო ფენების აღშფოთება გამოიწვია. შედეგად რააბი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე.

ახალ მთავრობაში შევიდნენ იგივე პირები, რომლებიც წინანდელი მთავრობის შემადგენლობაში იყვნენ. მხოლოდ კანცლერის პოსტზე ფიგლის ნაცვლად არის რააბი, აგრეთვე შეიცვალა ზოგიერთი სტატს-მდივანი.

როგორც დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რააბის — ფაშისტური ხასიათის ერთ-ერთი ყოფილი მეთაურის — დანიშვნა კანცლერის პოსტზე დიდ საშიშროებას უქმნის ავსტრიის მომავალს. რააბი არის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მომხრე „კამიცის გეგმისა", რომლის მიზანია ავსტრიის ეკონომიკის საბოლოო დამორჩილება ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალისადმი, აღმოსავლეთთან ვაჭრობის საბოტაჟი და „ცივი ომის" გაჩაღება.

„სოციალისტური მოქმედების ჯგუფის" აკრძალვა ჰესენში

ბერლინი, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, გუშინ ჰესენის შინაგან საქმეთა მინისტრის მამარჯვენე სოციალ-დემოკრატ ცინკანის განკარგულებით აკრძალულ იქნა ოპოზიციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „სოციალისტური მოქმედების ჯგუფი" და მისი ყოველკვირეული გაზეთი. ეს უკანონო მოქმედება ახალი რგოლია ადენაუერის ტეფორისტულ მოქმედებათა ჯაჭვში იმ გერმანელებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ილაშქრებენ ბონის მთავრობის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ და აქტიურად იბრძვიან გერმანიის ერთიანობისათვის. და საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის.

ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში დასავლეთ გერმანიის კონსტიტუციურ სასამართლოში აღძრულ იქნა საქმე „სოციალისტური მოქმედების ჯგუფის" 12 ხელმძღვანელი მოღვაწის წინააღმდეგ.

ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის მე-4 ყრილობა

მონტევიდეო, 2 აპრილი. (საკდესი). ბრაზილიის გაზეთის „იმპრენსა პოპულარის" ცნობით, 22 მარტს სანტ-იაგოში გაიხსნა ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის მორიგი, მეოთხე ყრილობა. სანტ-იაგოში, წერს გაზეთი, ჩამოვიდნენ ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის სამდივნოს წევრები თავმჯდომარე ვისენტე ლომბარდო ტოლედანოსა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივნის ანრი ტურდენის მეთაურობით. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 150 დელეგატმა, რომლებიც ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობას წარმოადგენენ. ყველაზე დიდი დელეგაციები წარმოგზავნეს ჩილის, ბრაზილიისა და არგენტინის, აგრეთვე ურუგვაის, პარაგვაის, გვატემალის, ბოლივიისა და კუბის პროფკავშირებმა.

ყრილობას, აღნიშნავს გაზეთი, ესწრებიან სრულიად სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირულ გაერთიანებათა წარმომადგენლები, რომელთაც მტკიცედ "აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ ლათინური ამერიკის ქვეყნების მშრომელთა მოქმედების ერთიანობას.

ინდოეთში შეიკვეცა ჩაის მრეწველობა

დელი, 2 აპრილი. (საკდესი). ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა კრიშნამაჩარიმ გუშინ სახალხო პალატაში განაცხადა, რომ წელს ინდოეთის ჩაის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 50 მილიონი ინგლისური გირვანქით შემცირდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

1 აპრილის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკდესი). გენერალურმა ასამბლეამ 1 აპრილის პლენარულ სხდომებზე დაამთავრა განხილვა „გენერალური მდივნის მოხსენებისა იმ პრინციპების შესახებ, რომლებსაც იყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის მიმართ" და ამ საკითხზე რეზოლუციების პროექტებისა.

სხდომაზე გამოსული ერაყის, ჩილის, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატები კვლავ აკრიტიკებდნენ ტრიუგვე ლის მიერ შედგენილ მოხსენებას.

ერაყის წარმომადგენელმა აღნიშნა ტრიუგვე ლის მთელი რიგი შეუწყნარებელი მოქმედება, რომელიც უხეშად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს დამოუკიდებელ საერთაშორისო ხასიათს. ერაყის დელეგატმა, კერძოდ, ყურადღება მიაქცია „შეუწყნარებელ და მართლაც აღმაშფოთებელ" აქტს ტრიუგვე ლის მხრივ, რომელმაც ნება დართო ამერიკის შეერთებული შტატების გამოკვლევის ფედერალურ ბიუროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში მოეხდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომელთა საქმეების გამოძიება და აეღო მათი თითების ანაბეჭდი. ამ მოქმედებით, თქვა ერაყის დელეგატმა, გენერალურმა მდივანმა დაუშვა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსტერიტორიულობის დარღვევა, რომელიც ხელშეუხებელია ყოველი ხელისუფლებისათვის.

ჩილის დელეგატმა აღნიშნა, რომ ტრიუგვე ლის პოლიტიკამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის მიმართ გამოიწვია ამ პერსონალის დემორალიზაცია. მან აგრეთვე გააკრიტიკა ტრიუგვე ლი იმისათვის, რომ იკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში სამუშაოზე დაქირავებისას არ იცავდა ფართო გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპს.

ინგლისის დელეგატმა საერთოდ მოიწონა ტრიუგვე ლის მოხსენების დებულებათა დიდი უმრავლესობა, მაგრამ გააკეთა მთელი რიგი შენიშვნები. მან, კერძოდ, გამოთქვა გაკვირვება, რომ ეს მოხსენება შეიცავს მტკიცებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ჯაშუშური" და „ძირგამომთხრელი საქმიანობის" არსებობის შესახებ და განაცხადა, რომ მთელი დოკუმენტაცია და მასალა ხელმისაწვდომია ყველასათვის და საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ინგლისის დელეგატი აგრეთვე არ დაეთანხმა ტრიუგვე ლის მოქმედებას, რომელმაც დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის ექსტერიტორიულობა.

დისკუსიის დასასრულს გამოსული ტრიუგვე ლი ცდილობდა გაემართლებინა თავისი მოქმედება, მაგრამ ამ უხეშმა ცდამ ვერავინ ვერ დაარწმუნა.

რეზოლუციის პროექტებისათვის კენჭისყრის წინ ხმისმიცემის მოტივების განსამარტებლად გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ა. ზორინი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს მთლიანად რეზოლუციის პროექტს, რომელიც შემოიტანეს ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, ირანის, იემენის, ლიბანის, პაკისტანის, საუდის არაბეთისა და სირიის დელეგაციებმა, თუმცა ამ რეზოლუციაშიც არის ცალკე პუნქტები, რომლებსაც საბჭოთა დელეგაცია საგანგებო როდი იზიარებს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამავე დროს აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს მთლიანად შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის წინააღმდეგ, რადგან იქ არის მიუღებელი პუნქტები.

კენჭისყრის შედეგად არაბული და აზიური ქვეყნების რეზოლუციის პროექტმა მიიღო 21 ხმა (სსრ კავშირი, პოლონეთი, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, ინდონეზია და სხვა არაბული და აზიური ქვეყნები, მექსიკა, ჩილი და სხვები). 8 ქვეყნის დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. რეზოლუციის პროექტი მიღებულ არ იქნა, რადგან მის წინააღმდეგ ხმა მისცეს 29 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა. ასამბლეის უმრავლესობამ ხმა მისცა რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა. ამ პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს 13 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, ინდონეზიისა და სირიის წარმომადგენლებმა. 4 ქვეყნის დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობანი ავსტრალიაში

ლონდონი, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „მანჩესტერ გარდიანში" გამოქვეყნებული ცნობა მოწმობს, რომ ავსტრალიაში ამერიკის კაპიტალდაბანდებათა წვლილი უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხაში უკანასკნელი 18 თვის მანძილზე მნიშვნელოვნად გადიდდა ინგლისის ფირმების კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე.

ცნობაში მოყვანილია დაზვრილებითი მონაცემები 1945 წლიდან ავსტრალიაში ამერიკის ფირმების კაპიტალდაბანდებათა შესახებ. 1945 წლიდან 1948 წლამდე ამერიკის ფირმებმა ახალ საწარმოთა მშენებლობაში ან არსებული ფაბრიკებისა და ქარხნების გაფართოებაში დაბანდეს 19.300 ათასი ავსტრალიური გირვანქა სტერლინგი; 1948-1949 საფინანსო წელს მათ დაბანდეს 1 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი, 1949-1950 წელს — 2 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი და 1950-1951 წელს — 4.800 ათასი გირვანქა სტერლინგი. 1951 წლის ივნისიდან ამერიკის კომპანიების კაპიტალდაბანდებანი შეადგენენ კიდევ 50 მილიონ ავსტრალიურ გირვანქა სტერლინგს. ამავე პერიოდში (1951 წლის ივნისიდან) ინგლისის ფირმებმა ავსტრალიაში დაბანდეს 60 მილიონამდე ავსტრალიური გირვანქა სტერლინგი — თანხა, რომელიც დაახლოებით უდრის ამ ფირმების საერთო კაპიტალდაბანდებებს წინა ექვსი საფინანსო წლის მანძილზე.

ცნობაში ნათქვამია, რომ უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში მოხდა ავსტრალიის მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვანი გადანაცვლება. საფეიქრო, სამკერვალო, ტყავეულობისა და მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას არ უწყობენ ხელს და ამ დარგებს უცხოეთის ფირმები ძლიერ კონკურენციას უწევენ.

როგორც ცნობიდან ჩანს, უცხოეთის კაპიტალების მეტ ნაწილს აბანდებენ ნავთობის მრეწველობაში, განსაკუთრებით ნავთობსაწმენდი ქარხნების გაფართოებაში. ამ კაპიტალდაბანდებათა თანხა 86 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღწევს. ინგლისისა და ამერიკის ნავთობის კომპანიების შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში, არიან „როიალ დიტჩ შელი", „ვაკუუმ ოილ კომპანი", „კალიფორნია ტექას ოილ კომპანი" და ინგლის-ირანის ყოფილი ნავთობის კომპანია.

ნავთობის მრეწველობის გარდა, უკვე ხორციელდება გეგმა 50 მილიონამდე ავსტრალიური გირვანქა სტერლინგის დაბანდებისა მეტალურგიულ მრეწველობაში. 40 მილიონი გირვანქა სტერლინგისა — მანქანათმშენებელ მრეწველობაში, 8 მილიონი გირვანქა სტერლინგისა — ქიმიურ მრეწველობაში. ამ პროექტებს საგრძნობლად ავინანსებენ ინგლისისა და ამერიკის კომპანიების ფილიალები ავსტრალიაში.

საპროტესტო მოძრაობა საარჩევნო „რეფორმის" წინააღმდეგ იტალიაში

რომი, 2 აპრილი. (საკდესი). მთელ იტალიაში გაჩაღდა მძლავრი საპროტესტო მოძრაობა საარჩევნო „რეფორმის" წინააღმდეგ. მთავრობის, სენატის თავმჯდომარის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

გაზეთი „უნიტა" იუწყება, კერძოდ, რომ დაიწყო კალაბრიის გლეხთა ფართო საპროტესტო მოძრაობა. სილის მთებში მდებარე ყველა სოფლიდან პიანერის ველში ჩავიდა ასობით გლეხი. გლეხთა კოლონა, რომელმაც გადალახა პოლიციის ბარიერები, მივიდა ქალაქ კოზენცაში და იქ პრეფექტურის შენობის წინ გამართა საპროტესტო მიტინგი.

საარჩევნო სისტემის ანტიდემოკრატიული „რეფორმის" წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე აპულიის პროვინციის სასოფლო რაიონებში, სადაც მშრომელებმა ჩაფუშეს პოლიციის პროვოკაციები. ბენევენტოში პოლიციამ სცადა იერიშით აეღო შრომის პალატის შენობა, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო მიტინგი. მაგრამ მშრომელებმა მოიგერიეს ეს იერიში. პოლიციამ, რომელსაც მოუვიდა მაშველი ძალები, განაახლა იერიშები და შეიპყრა შრომის პალატის შენობაში. პოლიციელებმა დაამტვრიეს რეპროდუქტორები და დაამატრიეს რამდენიმე პროფკავშირული ხელმძღვანელი და მუშა.

რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე კვლავ მოდის მრავალი დეპეშა და საპროტესტო რეზოლუცია საარჩევნო სისტემის „რეფორმის" კანონის წინააღმდეგ.

მომავალი მუნიციპალური არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 2 აპრილი. (საკდესი). ახლოვდება საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნების ვადა. არჩევნები დანიშნულია 26 აპრილსა და 3 მაისს. არჩეულ უნდა იქნას 466.800 მუნიციპალური მრჩეველი 37.983 კომუნისაგან. კენჭისყრისათვის 2 დღის — 26 აპრილისა და 3 მაისის დანიშვნა აიხსნება საფრანგეთის არჩევნების თავისებურებებით.

იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 9 ათასს აღემატება და სენის დეპარტამენტის კომუნებში (პარიზის გამოკლებით) კენჭისყრა იქნება მხოლოდ 26 აპრილს, და მუნიციპალურ საბჭოებში ადგილების განაწილება მოხდება პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით. იმ კომუნებში, სადაც მოსახლეობა 9 ათასზე ნაკლებია, შემოღებულია სხვა წესი. აქ ძალაში იქნება უფრო რეაქციული, კენჭისყრის ეგრეთწოდებული მაჟორიტარული სისტემა. თუ ამ კომუნებში რომელმე პარტიის კანდიდატების სიას მისცემენ ყველა ხმის 50 პროცენტზე მეტს, ეს პარტია მიიღებს მუნიციპალურ მრჩეველთა ყველა ადგილს, და ამით დამთავრდება არჩევნები. ხოლო თუ ვერც ერთი პარტია ვერ შეაგროვებს ხმების ასეთ რიცხვს. 3 მაისს მოეწყობა კენჭისყრის მეორე ტური, რომლის დროსაც ყველა ადგილის ხელში ჩასაგდებად საკმარისია ფარდობითი უმრავლესობა. კენჭისყრის მაჟორიტარული სისტემა ორ ტურად ხელსაყრელია რეაქციული პარტიებისათვის, რადგან ეს სისტემა შესაძლებლობას აძლევს მათ ბლოკი შეკრან მეორე ტურში დემოკრატიული ბლოკის კანდიდატების საწარალოდ

საფრანგეთში 400 კომუნაში, სადაც კი 9 ათასზე მეტი მოსახლეობაა, და სენის დეპარტამენტის 15 კომუნაში გამოყენებულ იქნება პროპორციული კენჭისყრის პრინციპი, ხოლო 37.528 კომუნაში, რომელთაგან თვითეულში 9 ათასზე ნაკლები მოსახლეობაა, გამოყენებულ იქნება კენჭისყრის მაჟორიტარული სისტემა. რეაქციული ბანკის პარტიები ახლა ისწრაფვიან სწორედ ეს გარემოება გამოიყენონ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საფრანგეთის მუნიციპალიტეტებში საკმაოდ დიდია კომუნისტური პარტიის გავლენა. 1947 წლის ოქტომბრის მუნიციპალური არჩევნების შემდეგ მარტო 454 კომუნიდან, რომლებშიც ადგილების პროპორციული განაწილება მოხდა, კომუნისტურმა პარტიამ 41 მუნიციპალიტეტში მიიღო ადგილების აბსოლუტური უმეტესობა, პარიზის მუშათა გარეუბნებში, როგორიც არის ობერვილიე, ივრი, დრანსი, არკანტეი, მონტრეი, სენსირი, სენტ-უენი და სხვა გარეუბნები, მუნიციპალური საბჭოები თითქმის მთლიანად კომუნისტებისაგან შედგება. ამ მუნიციპალურმა საბჭოებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს მშრომელთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, ქალაქების კეთილმოსაწყობად, უმუშევართა და ღრმად მოხუცებულ მშრომელთათვის დახმარების გასაწევად. კომუნისტების პროგენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე საფრანგეთის ბევრ სხვა მუნიციპალიტეტში.

ემზადებიან რა მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის. რეაქციული პარტიები ცდილობენ მაქსიმალურად გააძლიერონ თავიანთი დემაგოგიური საქმიანობა. მაგალითად, ყბადაღებული „გლეხთა პარტია", რომელიც მსხვილი ფრანგი აგრარიების ინტერესებს გამოხატავს. მთელ რიგ ბრალდებებს უყენებს მთავრობას, თუმცა ამ პარტიის ხელმძღვანელობა ბუდამ მხარს უჭერს ხელისუფალთა უაღრესად რეაქციულ ღონისძიებებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

ასეთსავე დემაგოგიურ საქმიანობას აწარმოებენ მემარჯვენე სოციალისტები.

ამასთანავე მემარჯვენე პარტიები ცდილობენ დაარწმუნონ ამომრჩეველნი, რომ მუნიციპალურ არჩევნებს თითქოს პოლიტიკური ხასიათი არა აქვს. ამას იმიტომ სჩადიან, რომ მშრომელთა ყურადღება ჩამოშორონ გამლეგული შეიარაღების პოლიტიკის დამღუპველ შედეგებს.

პარიზში თანდათან ჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ რეაქციული პარტიები, დაწყებული მემარჯვენე სოციალისტებით და დამთავრებული დეგოლელებით, აპირებენ შეკრან ბლოკი, რომელიც მიმართულია კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ამავე დროს უკვე ახლა დაისვა ის საკითხი, რომ კანდიდატები წამოყენებულ იქნან იმ პირთა რიცხვიდან, რომელნიც წინათ მუჯავრდებული იყვნენ მტერთან თანამშრომლობისათვის და ამის საფუძველზე აყრილი აქვთ იმის უფლება, რომ არჩეულ იქნან. ეროვნული კრების მიერ კოლაბორაციონისტების ამნისტიის შესახებ ამას წინათ მიღებულ კანონპროექტს ჯერ კიდევ არ მიუღია კანონის ძალა (იგი არ განუხილავთ მეორე წაკითხვით), მიუხედავად ამისა, როგორც დემოკრატიული პრესა იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაგზავნა სპეციალური ცირკულარი, რომლითაც ნებადართულია კანდიდატების რეგისტრაცია იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აყრილი აქვთ იმის უფლება, რომ არჩეულ იქნან.

საფრანგეთის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ მიმართულია აგრეთვე ზოგიერთი დადგენილება მუნიციპალური არჩევნების შესახებ. ეს დადგენილებანი განსაზღვრავენ წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ოდენობას.

კომუნისტური პარტია, როგორც აღნიშნავს ტაკ დიუკლო გაზეთ „ლუმანიტეში", წინასაარჩევნო ბრძოლას ეწევა იმ ნიშნით, რომ მუნიციპალური არჩევნები გადაიქცეს ფართო პოლიტიკურ კამპანიად.

საფრანგეთის მშრომელები ყოველი ღონისძიებით უჭერენ მხარს კომუნისტურ პარტიას, რასაც მოწმობს ის, რომ წარმატებით მოეწყო კომუნისტური პარტიის საარჩევნო კამპანიის ფონდისათვის სახსრების შეგროვება. როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ამ ფონდში უკვე შეგროვებულია 30 მილიონ ფრანკზე მეტი.

მოკლედ ყოველდღიურ ამბებზე

რუსთავი. ხეების დარგვა ახალ პარკში. ფოტო დ. იაკობაშვილისა.

რუსთაველის საღამოები

ლ. პ. ბერიას სახელობის სუხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მეორე წელია ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივით, ლექტორ შ. ადეიშვილის ხელმძღვანელობით იმართება ეგრეთწოდებული „რუსთაველის საღამოები".

შარშან მესამეკურსელების მიერ მოწყობილ „რუსთაველის საღამოზე" წაკითხულ იქნა მოხსენებები შოთა რუსთაველის შემოქმედების, პოემაში ასახული პატრიოტიზმისა და მეგობრობის იდეების შესახებ და სხვ. სტუდენტები კითხულობდნენ ნაწყვეტებს რუსთაველის პოემიდან.

რუსთაველის საღამო ინსტიტუტმა წელსაც მოაწყო. მისი მხატვრული ნაწილი გადაიქცა პოემის დრამატულ ინსცენირებად.

ახალი კომბაინები

ხაშური. („კომუნისტის" კორ.). სოფელ გომის ტერიტორიაზე შარშან გაიხსნა ახალი მტს-ი. მტს-ისათვის დაიწყო სახელოსნოს მშენებლობა, რომლის დამთავრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

ამ რამდენიმე დღის წინათ მტს-მა მიიღო ორი ახალი კომბაინი „სტალინეცი". უახლოეს ხანებში მიიღებს ამავე სისტემის კიდევ ორ ახალ კომბაინს.

რამდენიმე სტრიქონით

○ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში 4 დღეს მიმდინარეობდა VII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია. მუშაობდა 14 სექცია, წაკითხულ იქნა 110 მოხსენება.

○ თბილისში გარდაბნის ქუჩაზე ქაღალდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენდება 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის მეორე კვარტალში.

○ მიმდინარეობს პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შემაერთებელი კორპუსის მშენებლობა, რომლის დამთავრება განზრახულია წლის ბოლოსათვის.

საუკეთესო ხარისხის საამქროს წოდების მინიჭება

დედაქალაქის მოსახლეობას მომსახურებას უწევს მრავალი საკონდიტრო და საფუნთუშენაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საუკეთესო ხარისხის საამქროს წოდება მიანიჭეს საქპურტრესტის თბილისის № 1 საკონდიტროს (გამგე პ. ოშხერელი), № 10 საფუნთუშეს (გამგე კ. კაციტაძე) და № 2 საკონდიტროს (გამგე ს. კაციტაძე).

აჭარის ხალხური შემოქმედების თეატრი

ბათუმი. (საქდესი). აქ გაიხსნა აჭარის ასსრ ხალხური შემოქმედების თეატრი. პირველ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს „ბლავნეფტესბიტის" ბათუმის სამმართველოს და სამომხმარებლო კოოპერაციის კლუბების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა — მშრომელთა თვითმოქმედების საქალაქო და რესპუბლიკურ დათვალიერებათა მრავალგზის მონაწილეებმა.

ხალხური შემოქმედების თეატრის შექმნა დიდი მოვლენაა აჭარის კულტურულ ცხოვრებაში. აქ განუწყვეტლივ ვითარდება მხატვრული თვითმოქმედება. საწარმოთა კლუბებში, რაიონის კულტურის სახლებში, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებში ახლა 250-ზე მეტი თვითმოქმედი კოლექტივია. საუკეთესო გუნდები, დრამატული, ქორეოგრაფიული წრეები, მომღერლები, მუსიკოსები, წამკითხველ-დეკლამატორები გვიჩვენებენ თეატრის სცენაზე თავიანთ წარმატებას.

სსრ კავშირის პირველობა კრივში

მოსკოვში სპორტის ათასობით მოყვარული ყოველდღიურად დიდი ინტერესით აფიქრებს თვალს უძლიერეს მოკრივეთა ასპარეზობას საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირადი პირველობისათვის. ჩემპიონის წოდებისა და ოქროს მედლების მოსაპოვებლად აქ პირველობას ერომანეთს ეცილებიან მჩატე, მსუბუქი, მეორე ქვესაშუალო, მეორე საშუალო და მძიმე წონის მოკრივეები.

საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს მოკრივეთა წარმომადგენელმა კ. ზუბიაშვილმა (მსუბუქი წონა) დაამარცხა სპორტის ოსტატი მეგეროვი.

მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეთა შორის ოსტატურად იბრძოდა გ. დარბაისელი (თბილისი), რომელმაც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ბელორუსიის ჩემპიონთან მალოშინთან შეხვედრაში.

საბჭოთა კავშირის ცხრაგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. შჩერბაკოვმა (მოსკოვი) მოუგო მეორე ქვესაშუალო წონის ახალგაზრდა მოკრივე რ. სარქისოვს (თბილისი), ილიუხინმა — სირბილაძეს.

გ. მიქაელიანისა (თბილისი, მეორე საშუალო წონა) და ბ. სილიჩევის (მოსკოვი) შეჯიბრება დამთავრდა ბ. სილიჩევის გამარჯვებით. ამ შეხვედრის შედეგი გაპროტესტებულია.

* * *

პირველობის გათამაშების მეორე დღეს კ. ზუბიაშვილმა დამარცხება განიცადა მოსკოველ ვინოგრადოვთან შეჯიბრებაში. გ. დარბაისელმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და მეოთხედ ფინალში გავიდა. 2 აპრილს მან მოუგო ტოვმასიანს (ერევანი). ამავე დღეს ქუთაისელმა ახალგაზრდა მოკრივემ ქ. ლომიძემ გაიმარჯვა უზბეკეთის წარმომადგენლის არტემბერგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკავშირო ჩემპიონატი კრივში გრძელდება.

წიგნის თარო



აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა მწერალ პარმენ ლორიას ახალი რომანი „ტალღები". წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. რედაქტორია — ი. რურუა. წიგნის ტირაჟია 10.000, ფასი 7 მან. და 50 კაპ.

„საბჭოთა მწერალმა" გამოსცა მწერალ ანდრო ლომაძის „მოთხრობები". კრებულში შესულია — „სიცოცხლის ზეიმი", „არხი", „ზღვაზე", „მაშველი", „მუქურა" და სხვ. სულ 41 მოთხრობა. რედაქტორია — დ. მაისურაძე. წიგნის ტირაჟია 10.000, გვ. 225, ფასი 5 მან. 70 კაპ.

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვლადიმერ გელაშვილის ლექსების კრებული „ბავშვებისადმი". კრებულის რედაქტორია — ა. ალიბეგაშვილი. ტირაჟი 1.000, ფასი 2 მან. და 50 კაპ.

გამოვიდა ი. ზურაბიშვილის (ელეფთერიძე) წიგნი — „გაროზგილი". თვითმსწრაფლობის დროინდელი ჯარისკაცის ცხოვრებიდან. საბჭოთა მწერალი. 1953 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 274, ფასი 4 მან. 10 კაპ.

საბლიტგამმა გამოსცა ა. დოდეს „წერილები ჩემი ზაქსვილიდან". თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა. წიგნის ტირაჟია 8.000, გვ. 159, ფასი 4 მან. 40 კაპ.

მსახიობ თ. აბაშიძის შემოქმედებითი საღამო

ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში 6 აპრილს გაიმართება საქართველოს სსრ სახალხო არტისტის თამარ აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

თ. აბაშიძის შემოქმედების შესახებ საღამოზე მოხსენებას წაიკითხავს მწერალი რ. ქორქია. მხატვრულ განყოფილებაში ნაჩვენები იქნება ნაწყვეტები მ. ბარათაშვილის „მარინედან", ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან", გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის „ნაცარქექიადან", რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს თ. აბაშიძე.

ქალაქ თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტებისაგან

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილები, შტაბები, სამმართველობები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები 1953 წლის 6 აპრილიდან გადადიან საზაფხულო ფორმის ტანსაცმელზე.

ქ. თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი პოლკოვნიკი ჟღენტი.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექცია აცხადებს, რომ 1953 წლის 6 აპრილიდან ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა მნახველთათვის ღიაა ყოველდღე დღის 11 საათიდან საღამოს 7 საათსა და 30 წუთამდე.
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით № 3-14-84.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

4 აპრილს	ჟ. ბიზე — კარმენი (ვ. ა. დავიდოვას მონაწილეობით).
5 აპრილს	დღის 12 საათზე შ. ჰუნო — ფაუსტი საღამოს დ. თორაძე — გორდა (ვ. ჯაბუკიანის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

4.5.6 აპრილს, მხოლოდ 3 დღე
მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცირკის მსახიობ-ხუმარას
კონსტანტინე ბერმანის
გასტროლები. მონაწილეობენ: კლოუნების ჯგუფი: უსპენსკი, ბაიდინი, მიხაილოვი, არონოვი და საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კვირას, 5 აპრილს
ღამის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. პლეხანოვის პროსპ. № 97, რუსთაველის პროსპ. 1.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

მოქალაქე შოთა ალექსანდრეს-ძე მაისურაძემ, მცხოვრებმა ზაქესის ქ. № 35, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე მარგო ლევანის ასულ მაისურაძესთან განქორწინების შ